წელიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — სამშაბათი, 19 იანვარი 1916 წ. — № 13

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## „საქართველო“

1916 წ. — წელიწადი მეორე

**უპრემიოდ** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კაპ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მან., პირველ მაისამდე 3 მან., პირველ ენკენისთვემდე 2 მან. 50 კაპ., თვიურად—80 კაპ.

**პრემიით** გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

**პრემიები:**

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გადაგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.

პროვინციებში ხელისმომწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

პირველი წელი — პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

## კაზმული და სამხატვრო კრებული

## „მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

## სახალხო სახლი (ვ. ზუბალაშვილის სახელობისა)

სამშაბათს 19 იანვარს 1916 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქართ. სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს თანხის გასაძლიერებლად წარმოდგენილი იქნება

## იუდას მემკვიდრე

თარგ. კ. ანდრონიკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: დავითაშვილი ნინო, თოიძე ნინო, ჯავახიშვილი ნ., გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ა. თარალიშვილი ი., იმნაძე? [illegible] გიორგი, მგალობლიშვილი, ჟივიძე იოს., სარაული მ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

მორიგი წევრი გამგეობისა: ი. გედევანიშვილი.

ადგილების ფასი 30 კ.-დან 4 მან.-დე.

## სახალხო სახლი

კვირას, 24 იანვარს, დღის 1 საათზე გაიმართება დილა

## ვაჟა-ფშაველა და მისი პოეზია

წაიკითხავს დ. კასრაძე.

II—გოგოთურ-აღა და შანტაჟისტები. იუმორისტ. პოემა.

III—ლექსები, სცენები და შარჟი.

ფასები 4 კ. 50 კაპ.

დაწვრილებით იხილეთ აფიშებში.

გამგე ბ. ბეგლარიძე.

(3—0—1)

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

—პროვიზორის ახვლედიანისა—

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

16 იანვარი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მთელს დღე და ღამის განმავლობაში არა მომხდარა-რა საიმისო გარდა იმისა, რომ მტერი მცირეოდენ ხანს შეებრძოლა გენერალ ივანოვის ჯარს და შეეცადა რუსთა თხრილებს მიახლოვებულიყო, მაგრამ ყოველგან უკუგდებულ იქმნა.

**კავკასიის ასპარეზი.** ტორტუმ-ღელეს ტბის რაიონში რუსის რაზმები წინ იწევენ. დუმლუდაღის მწვერვალის ჩრდილოეთით, აზრუმის რაიონში, რუსებმა ოსმალნი გამოჰრეკეს დასახელებული ადგილებიდან, ოსმალნი შეეცადნენ ზემო პასინის ღელეში, აზრუმის აღმოსავლეთით, წინ წამოსულიყვნენ, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ რუსთა არტილერიის ცეცხლით. ყველა ბრძოლის დროს მთელი რიგი ტყვეებისა წამოიყვანეს, განსაკუთრებით ასკერები. ოსმალთა დევნას განაგრძობენ ხნის-ქალას რაიონში. ადგილ-ადგილ რუსის ჯარებს ორი საჟენის სიმაღლეზე უხდებათ თოვლის გარღვევა.

**პეტროგრადი,** 17 იანვარი. დასავლეთი ასპარეზი. რიგის ფრონტიდან მოყოლებული პრიპიატამდე საზოგადოდ სიწყნარე სუფევს. მხოლოდ ბაბიტის ტბის სამხრეთით გერმანელთა ერთი რაზმი იერიშით წამოვიდა რუსთა თხრილებისკენ, მაგრამ უკანვე გაჰრეკეს. დაბა კოლკის სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსთა მზვერავებმა დაიჭირეს ერთი ხადარაჯო. მის დასაბრუნებლად ავსტრიელებმა მაშველი რაზმი გამოჰგზავნეს, მაგრამ ვერას გახდნენ. მდ. სტრიპის შუა მიმდინარეობაზე რუსებმა მარჯვედ მოახვედრეს მტრის თოფისწამლის ყუთებს. იმავე რაიონში რუსებმა გადასჭრეს მავთულის ხლართი და 25 ფუგასი ამოსთხარეს. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით რუსებმა კამუფლეტი ააფეთქეს, რითაც მტერს ხელი შეუშალეს სანაღმო მუშაობაში.

**კავკასიის ასპარეზი.** აზრუმის რაიონის ჩრდილოეთით რუსებმა წინსვლის დროს ასკერთა ერთი პარტია დაატყვევეს სამი ტყვიისმფრქვეველითურთ.

—

**ლონდონი,** 16 იანვარი. სოლუნიდან იტყობინებიან. ინგლისელთა, ფრანგებისა, რუსებისა და იტალიელების ჯარები გადმოსხეს კუნძულ ყარაბურუნზე და ბერძენთა ციხე დაიჭირეს. შიგ მყოფს ჯარებს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

**ლონდონი,** 15 იანვარი. დაღუპული გემი „აპპამი“ დეკარიდან 27 ქრისტეშობისთვეს გამოვიდა. ზედ 200 მგზავრი ყოფილა.

**პარიზი,** 15 იანვარი. არტუაში საარტილერიო ბრძოლამ ფრიად სასტიკი ხასიათი მიიღო. გერმანელებმა რიგზე რამდენჯერმე იერიში მოიტანა ჩვენს ფრონტზე. „140“ მწვერვალის დასავლეთით და ჟივანშის სამხრეთით, გერმანელებმა რამდენიმე ნაღმი ააფეთქეს და ჩვენს თხრილთა წინა ნაწილზე მოახერხეს ფეხის მომაგრება და განმტკიცება. მეორე იერიში მიმართული იყო იმავე დროს ნევილის პოზიციებისკენ, მაგრამ თოფის სროლით შეჩერებულ იქმნა. იმავე დროს მესამეჯერ მოიტანეს იერიში, მაგრამ ისეთი სროლა ავუტეხეთ, რომ სწრაფად თავიანთ თხრილებს მიაშურეს. ასევე უნაყოფოდ ჩაიარა მათმა იერიშმა სენ-ნიკოლას გზაზე, არასის ჩრდილო - აღმოსავლეთით. ნევილის გზაზე დილით მტერს წავართვით წინადღით მათ მიერ დაჭერილი აფეთქებულ ნაღმის ადგილი. მათ იერიში განაახლეს, მაგრამ შევაჩერეთ. არასს საშინლად დაუშინეს, მაგრამ იერიშით კი არ წამოსულან.

**ლონდონი,** 14 იანვარი. სტამბოლში 10 ათასი გერმანელია. ყველა აფიცრობა იკვეხის, მალე სუეცის არხს ქვიშით ამოვავსებთ და დავანგრევთო. ენვერ ფაშას უთქვია: „ჩვენი დივიზია ეგვიპტისაკენ!“

**პარიზი,** 25 იანვარი. ავსტრიელთა მთავარი ძალები, რომელთაც სკუტარი და დორიანი უჭერიათ, წინ წამოვიდნენ და სან-ჯიოვანი-დი-მედუამდე მოვიდნენ.

**ნიუ-იორკი,** 15 იანვარი. ბანკეტზე ვილსონმა სთქვა: შეერთებულ შტატებს უყვართ მშვიდობიანობა, მაგრამ არის ერთი რამ, რომელსაც ჩვენ მშვიდობიანობაზე მაღლა ვაყენებთ: ეს გახლავთ ის პრინციპი, რაზეც აგებულია მთელი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება, ომი არ გვსურს, მაგრამ არც მას მოვერიდებით, თუ კი იგი საჭირო იქნება ამერიკის პატივისა და ღირსების დასაცველადაო.

**პარიზი,** 17 იანვარი. გერმანელებმა გუშინღამ იერიში მიიტანეს სომის სამხრეთით დომპიერის პოზიციებზე, მაგრამ უკუვაგდეთ.

**ბუქარესტი,** 16 იანვარი. გერმანეთის მთავრობას თხოვნით მიუმართავს ბულგარეთის მთავრობისთვის, რათა ბულგარელი მღვდლები გაიგზავნოს რუსის ტყვეებთან.

**სტოკჰოლმი,** 16 იანვარი. გერმანელებმა ქრისტეშობის დღეს შეიპყრეს შვედელების ჯავშნოსანი, რომელზედაც 500 ტონი რკინა იყო იაპონელებისთვის მისაწვდენად. ეს გემი გერმანელებმა თვით გამოიყენეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**გერმანელები სტამბოლში.**

ინგლისური გაზ. „ტაიმსი“ იტყობინება: სტამბოლში 50,000 გერმანელი მივიდა და ამ მოკლე ხანში კიდევ მრავალ ჯარს მოელოდებიანო. ამ ჯარს ეგვიპტისკენ არ გაისტუმრებენო.

**მთაშავეთის დანებება.**

მთაშავეთის მეფე ნიკოლოზი ოფიციალ განმარტებას იძლევა იმის გამო, თუ რამ აიძულა მთაშავეთი დაჰნებებოდა მოწინააღმდეგეს. იგი ამბობს: რადგან ვხედავდით, რომ ჩვენი ჯარი ვერას გახდებოდა მრავალ რიცხოვანსა და კარგად შეიარაღებულ ჯართან, გარდავსწყვიტეთ მოლაპარაკება გაგვემართნა, მაგრამ ავსტრიელებმა მოლაპარაკება არ მიიღეს და შეგვითვალეს, პირდაპირ შერიგება მოგვეხდინა და იარაღი დაგვეყარა. ამის შემდეგ მოლაპარაკება შეწყვეტილ იქმნა.

რუსეთის ელჩი მთაშავეთიდან სასწრაფოდ გამოწვეულია, რათა მინისტრ საზონოვს პირადად მოახსენოს, თუ ნამდვილად რამ აიძულა მთაშავეთი იარაღი დაეყარნა და მოწინააღმდეგესთან ზავი ჩამოეგდო.

გერმანული გაზეთი იტყობინება: მთაშავეთთან ჯერ-ჯერობით მოლაპარაკება არ გამართლდა. ეს მოხდება მაშინ, როცა მთაშავეთი მთლად დაპყრობილ იქმნებაო. ის ამბავი, ვითომც ავსტრიამ მისცა მთაშავეთს წინადადებაო, მართალი არ არის. წინადადება თვით მთაშავეთმა წარადგინა, რათა დრო გაგრძელებულიყო და მოკავშირეთა ჯარი მოჰშველებოდაო. ეს იყო მიზეზი, რომ მთაშავეთის მეფემ ავსტრიის მოთხოვნილება მიიღო და მხოლოდ თავისი ჯარის ნაწილს აჰხსნა იარაღი. დანარჩენ ჯარს ავსტრია პასუხს გასცემსო.

**მთაშავეთში.**

„კიოლნიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: მას მერე რაც მთაშავეთიდან წავიდნენ მეფე და მისი მინისტრები, მთაშავეთში პასუხისმგებელი მთავრობა აღარ არის, რომ მოლაპარაკება განევაგრძოთ. ამის გამო ავსტრიელებმა მთაშავეთის მკვიდრთ 24—36 საათი მისცეს იარაღის ჩასაბარებლად. ეს იყო 10 იანვარს. თუ ამ ვადაზე იარაღს არ ჩააბარებენ, ავსტრიელები სამხედრო მოქმედებას განაახლებენ.

**ავსტრიელების დავლა.**

ცეტინიეს აღებისას გენერალმა კევეშმა მთაშაველთ დავლად წაართო 154 სხვა და სხვა ზომის ზარბაზანი, 10 ათასი თოფი, 10 ტყვიისმფრქვეველი.

ლოვჩენის აღებისას დავლად დარჩათ 45 ზარბაზანი, ხელთ იგდეს 300 ტყვე. ლოვჩენის სიმაგრეები სამ წყებას წარმოადგენდა. პირველ წყებაზე იდგა იტალიური ზარბაზნები, მეორეზე—ფრანგული...

ლოვჩენის სიმაგრეების დამცველ ჯარს ბატონიშვილი პეტრე ხელმძღვანელობდა.

**ჩინეთში.**

ჩინელმა რევოლიუციონერებმა დაიპყრეს ქალაქი სიუიჩეო.

**კოპენჰაგენი.**

ჩენსტოხოვიდან იტყობინებიან, რომ ქალაქში საშინელი სიძვირეა. 11,000 ოჯახი საშინელ უმწეობას განიცდის. ფაბრიკები და ქარხნები აღარ მოქმედებს. 40,000 კაცმა დასტოვა ქალაქი. მოგზაურობა სალოცავად ჩენსტოხოვის მონასტერში შესწყდა. ალექსანდრე მეორის ძეგლი ხელუხლებელია, თუმცა მასზე წარწერა კი განადგურებულია.

— ავსტრიელთა მთავარ ბანაკიდან იტყობინებიან, რომ რუსეთის მფრინავებმა გადიფრინეს ბერეჟანის სამხეთ-აღმოსავლეთით და ყუმბარები ჩამოჰყარესო.

**კავკასიის ასპარეზი.**

კ. შუმსკი სწერს: ეჭვი არაა, ოსმალთა დიდი იმედები არის დამყარებული აზრუმის ციხის ძალღონეზე. მისი აღება დიდი თავზარის დაცემა იქნება ოსმალთა იმპერიისთვის, რადგან აზრუმის დაჭერა მოკავშირეებს გზას გაუხსნის სომხეთ-ანატოლიისკენ.

**სპარსეთი.**

როგორც რუსული გაზეთი „დენი“ გადმოგვცემს გერმანელები აუარებელ ფულს ჰხარჯავენ სპარსეთის დასარაზმავად.

**პოლონეთში**

ხოლმში მთავრობის დახმარებით მოაწყეს პოლონური სახალხო უნივერსიტეტი.

**ბალკანეთში**

ბულგარები ალბანეთს აწვებიან. იტალიელებს გარდაწყვეტილი აქვთ დაიცვან ვალონა და დურაცო. სერბიელები სრულებით თავს ანებებენ ალბანეთს რათა სხვაგან სადმე შეაჯგუფონ გადარჩენილი ჯარი.

**შვეიცარიელი გენერლები.**

შვეიცარიელ ორს გენერალს სამართალში აძლევენ იმის გამო, რომ ისინი გერმანელ მთავარ შტაბს ფრანგების ჯარის შესახებ ცნობას აძლევდნენ.

**სალონიკზე იერიში.**

როგორც იტყობინებიან გერმანელებს, ავსტრიელებს და ბულგარელებს სალონიკზე იერიში მიაქვთო.

**ალბანეთში.**

დმიტრიევი სწერს: ბულგარელები მიიწევენ ალბანეთისკენ სამხრეთის მიმართულებით.

იტალიელებმა გადასწყვიტეს, დაიცვან დურაცო და ვარნა.

**ბუკოვინაში**

„ჟურნალ დე ბალკან“-ი იტყობინება: მაგორნიცაში და ბუკოვინაში არტილერიის ბრძოლა საშინელი ძალით გრძელდება.

**სალონიკში.**

ბუქარესტიდან იტყობინებიან, 5 იანვარს დაიწყო გერმანელ-ბულგარელთა საერთო შეტევა სალონიკზე.

## უკანასკნელი ფოსტა

ბუქარესტიდან გერმანელთა ლაშქარი, რომელიც შესდგება ქვეითი ჯარისა, საპიორებისა და არტილერიისაგან, ყოველ დღე გადაჰყავსთ აზიის ნაპირზე და ჰგზავნიან შუაგულ აზიაში.

—

გუშინ საღამოს ათ საათზე პარიზში ცეპელინების მოლოდინი ჰქონდათ. მთელი ქალაქი წყვდიადში იყო გახვეული. სინათლე ჯრსად ბჟუტავდა. მხოლოდ ცაზე იკლაკნებოდა საზვერავი პროჟექტორები ც[illegible]ის კამარას აშუქებდა. ცეცხლის მქრობელნი გამოვიდნენ მთავარ ქუჩებზე და საყვირებით ხალხს აფრთხილებდნენ. პარიზს ფრანგების ჰაეროპლანები სდარაჯობდნენ. ხალხი ბულვარზე გამოსულიყო. „გამოჩნდნენ ცეპელინებიც“. ჩამოაგდეს 13 ყუმბარა. დაინგრა 9 შენობა. ადამიანთა მსხვერპლი მრავალია. გერმანელების „ცეპელინებს“ ფრანგების ჰაეროპლანები დაედევნენ იმ დროს, როცა ისინი უკვე წყვდიადს ეფარებოდნენ. ღამის პირველ საათზე პარიზი კვლავ გამოცოცხლდა.

—

პირველ და მეორე კურსის ფარმაცევტებს შეღავათი ეძლევათ კურსის დასრულებამდე. აგრეთვე შეღავათი ეძლევათ 1916 წ. ივლისამდე პირველ და მეორე ხარისხის ჯარში გასაწვევ სტუდენტებს, რომელნიც კურსს 1916 წელს ივლისში ასრულებენ. ამის გამო ადგილობრივ თხოვნა უნდა მიეცეს სამხედრო უფროსს.

**რუმინეთი.**

„მორნინგ პოსტ“-ი იტყობინება: ომში ჩარევის მომხრეთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. ბრატიანუ მოკავშირეებისაკენ იხრება.

**მთაშაველთა ჯარი.**

სან-ჯიოვანი-დიმედუასკენ მთაშაველთა 12 ათასი მეომარი მიემართებოდა. მათ ფეხდაფეხ მისდევდა ავსტრიის ჯარი. მთაშაველთ გეზი შეიცვალეს და მიუხვიეს დურაცოსა თუ ალესიოსაკენ.

**მაკენზენის ჯარი.**

„ვეჩ. ვრ.“-ს სიტყვით, ოსმალებსა და გერმანელებს განზრახვა აქვთ სუეცის არხთან მოსაჩვენებლად შეუტიონ რომ ამითი მესოპოტამიაში სამოქმედო გეგმა დაჰფარონ.

—

„ნოვოე ვრემ.“ სწერს: ძალიან შესაძლებელია, დიდმნიშვნელოვანი ამბები მოხდება მესოპოტამიაში და ეგვიპტის (მისრეთი) საზღვრებზე.

—

„რუს. ინვალიდი“ აღნიშნავს: რიგის მიდამოებში კვლავ დაიწყო სამხედრო მოქმედება, თუმცა აქ დიდ ბრძოლას არ უნდა ველოდეთ. ჩვენი არტილერია აქ იმარჯვებს მოწინააღმდეგეზე, რომელიც ძალიან ფხიზლობს რუსების მოულოდნელ შეტევის მოლოდინე. გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები დაჟინებით აღნიშნავენ, რომ რუსების შეტაკებამ გალიცია—ბუკოვინაში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მტერზე.

აქ მოპირდაპირე თავს უყრის თავისუფალ ძალებს სხვა და სხვა ასპარეზიდან.

## ბრძოლის ველზე

რუსეთ-გერმანეთის ფრონტზე გასულ ორ დღე და ღამეში ყურადღების ღირსი არაფერი მომხდარა. მხოლოდ ჩრდილო მხარეში, ბობრის ტბის სამხრეთით, გერმანელთა საკმაო დიდი ძალა იერიშით წამოსულა რუსების სანგრ-თხრილებისაკენ. აგერ თვე ნახევარზე მეტია, რაც ამ რაიონში გერმანელთა რაიმე აქტიურ სამხედრო მოქმედების შესახებ ოფიციალ დეპეშას არავითარი ცნობა არ მოუტანია. ძნელია, გუშინდელი დეპეშის ერთად-ერთი ცნობის მიხედვით გარკვეული რამე ითქვას ამ განცალკევებულ შემოტევის შესახებ. ძნელია იმის თქმა არის რაიმე კავშირი თუ არა და ამ შემოტევასა და იმ ხანგრძლივ დაზვერას შორის რომელსაც გერმანელი ჰაეროპლანები და ცეპელინები აწარმოებდენ ქალ. რიგაზე დ მის მიდამოებში. ძნელია იმის თქმა, ეს შემოტევა ამდენი ხნის სიჩუმის შემდეგ, ახალ ხანას იწყებს თუ უბრალო ეპიზოდია, რომელიც მიზეზ-შედეგურად დაკავშირებული არ არის განზრახულ მახლობელ საერთო მოქმედებასთან. ამის გამოსარკვევად უნდა დაუუცადოთ ახალ-ახალ ცნობებს. არც გალიციაში და არც ბუკოვინაში მომხდარა რაიმე საყურადღებო.

რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლის პირიდან ისეთი ცნობები არ მოდის, რომელიც გულისხმობდეს ამ რამოდენიმე დღის წინად დაწყებულ მოქმედების და მიღწეულ შედეგების გაგრძელებას. ჩვენ ვიცით, რომ რუსის ჯარი ჰასანკალას აღების შემდეგ ზედ აზრუმის პირველ ფორტებს მიადგა და ზარბაზნის სროლა აუტეხა. ამ ოფიციალი ცნობის შემდეგ რამდენიმე დღემ განვლო, რომ არაფერი გვესმის იმის თაობაზე აზრუმს კვლავ უშენენ ზარბაზანს და ალყის მაგვარ რასმე აპირებენ, თუ მოხდა ახალი რამ დივერსია.

14 იანვრის თარიღით გვეუწყა, რომ წინა დღეების შეხლა-შემოხლა შეტაკებად გადაქცეულა მელიაზგერთის დასავლეთისა და ურმიის ტბის სამხრეთის რაიონში. ძნელი სათქმელია თუ ვის ეკუთვნოდა ამ ადგილებში ბრძოლის გაცხოველების თაოსნობა. შექმნილი გარემოება ორთავე მხარისათვის ამ თაოსნობას სავალდებულოდ წარმოგვიდგენს. დასწრება დეტალების საკითხია, რომლის ცოდნის საშუალებას ჩვენ მოკლებული ვართ.

17 იანვრის თარიღით ოფიციალად გვეუწყა, რომ აზრუმის ჩრდილო რაიონში ბრძოლებია. ეს ამბები ერთი მეორეს რომ გადავაბათ, უფლება გვეძლევა ვივარაუდოთ, რომ აზრუმის სარაიონო სამხედრო ოპერაციის ფარგალში ახალი გარემოებები შეიქმნა, რომელსაც თან და თან ნათელს მოჰფენენ მახლობელი დღეების ოფიციალი ცნობანი.

სპარსეთის ტერიტორიაზე ურმიის ტბის სამხრეთით რუსები განაგრძობენ ოსმალთა ჯარის ფეხდაფეხ დევნას, რომლის დამარცხების ამბავს გადმოგვცემდა 14 იანვრის თარიღით მთავარ შტაბის ოფიციალი დეპეშა. ბრძოლის მეორე ასპარეზი სპარსეთის ტერიტორიაზედ ქამადან-კენგავერ, ქერმან შაჰის რაიონი გახლავთ. აქ მოქმედობს რუსის გენერალ ბ—ვის რაზმი. ეტყობა აქ მდგომარეობა სერიოზულია. რუსის ჯარი მარდად იბრძვის შემოსეულ მტრების წინააღმდეგ. ბრძოლის ამ ფარგალში მოიერიშეს როლს, უკანასკნელ დეპეშების ცნობით, სპარს-ოსმალთა ძალები თამაშობენ. რუსები ამ იერიშებს იგერიებენ. ახალი ცნობა არ მოსულა მესოპოტამიიდან მას შემდეგ რაც 9 იანვრის მკაცრი ბრძოლის შემდეგ ინგლისელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

**მეგრი.**

**თბილისი, 19 იანვარი.**

**ვაჭართა ორგანიზაციის საჭიროება.** საქართველოს ეროვნული ორგანიზმი თან და თან მაგრდება სოციალ-პოლიტიკურ დიფერენციაციისა დ ორგანიზაციის ნიადაგზე. საქართველო ემშვიდობება წინანდელ ქაოტიურ უსახეობას; იგი თან და თან ყალიბდება სხვა და სხვა მიმართულებად. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც იჭურვება თავის სპეციფიურ პოლიტიკურ-ეკონომიურ მრწამსით, კერძოდ ეწყობა, ორგანიზაციას ჰკრავს და თავის პრაქტიკულ საქმიანობას დასახულ მიზანს უფარდებს. ერის წიაღში ერთეული თუ კოლექტიური პიროვნების გამაგრება მისი მომავლის უტყუარი საწინდარია. ერის სიმტკიცე თითოეული ცოცხალი ფიზიოლოგიური და სოციალი ორგანიზმის სიმკვიდრეზედ უნდა აეგოს. ქართველი ერი, ერთად აღებული, რაც დღე გადის, უფრო და უფრო მეტის შეგნებით ეკიდება ორგანიზაციის პრინციპს. ცხოვრების ყოველ დარგში ამის ნამდვილ ნიშნებს და უტყუარ საბუთებს ვხედავთ. ერთი სიტყვით, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება ამ მხრივ გაევროპიელების გზას ლაადგა. ეს მოვლენა ამ უკანასკნელ 10—15 წლის ყველა მოვლენაზე უფრო ნიშანდობლივ და ძლიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. იგი ჩვენი ცხოვრების ნამდვილ ღერძად გადაიქცა. გაიზარდა სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების რიცხვი, მთავარი საზოგადოებათა ფილიალი განყოფილებანი თან და თან ეფინებიან საქართველოს პროვინციას. დაარსდა და არსდება ეკონომიური ორგანიზაციები სხვა და სხვა კოოპერატივების სახით, სადაც წევრად შედის და თანამშრომლობს სხვა და სხვა პოლიტიკური რწმენის ხალხი. ესეც მაგალითი იმისა, რომ პოლიტიკურ რწმენის სხვა და სხვაობაზე სრულიად ბუნებრივად შეიძლება დამყარდეს იმავე პირთა მჭიდრო და საზიარო ეკონომიური ორგანიზაცია. პოლიტიკურ ინტერესის სხვა და სხვაობა და კონფლიკტი შერიგებულია ეკონომიურ ინტერესის ერთნაირობაში, რაიც თავის თავად მეტის შეგნების მაუწყებელია. სინდიკატები, ტრესტები და სხვა ორგანიზაციები ამ სინამდვილის განპიროვნებას წარმოადგენენ. ჩვენი სოფელი პირველი ჩაება ორგანიზაციის ფერხულში. დაწყება სანუგეშოა და დიდი იმედების აღმძვრელიც. ჩვენ თვალწინ გაიზარდა წვრილი კრედიტის ამხანაგობა. ჩვენს თვალწინ ერთდებიან ეს ამხანაგობანი. ჩვენს თვალწინ დაარსდა კახეთის ამხანაგობათა კავშირი. ჩვენს თვალწინ შეერთდა ყველა ქართული კულტურული დაწესებულება, რომელთაც დაიარსეს ერთი კავშირი და აირჩიეს ერთი გამგეობა.

არის ძიება, არის შემოქმედება. ქართველი ერის სხეული ხუნდებშიც-კი მოძრაობს. ამაზედ მეტი საიმედო ნიშნები რა უნდა იყოს! მაგრამ ყველაფერი ეს ცოტაა, ყველა ეს ჯერ სუსტია, ძვალგაუმაგრებელი. შრომა, ძალა ენერგია ამ პროცესის დაჩქარებას და დამთავრებას უნდა შეეალიოთ. ჯერ კიდევ არიან ქართველი საზოგადოების ისეთი ნაწილები, რომელიც კავშირს გარეშე დარჩენილან და ამ მოუწყობლობის გამო არავითარ ძალას არ წარმოადგენენ. ეს გახლავთ ქართველი ვაჭრობა, ნორჩი ქართველი ბურჟუაზია, რომლის გაზრდა-განვითარებაზეა დამოკიდებული ჩვენი ერის ეკონომიური და კულტურული დაწინაურება. ქართველ ბურჟუაზიას, როგორც ეს სხვაგანაც ყოფილა, სხვა ერის ცხოვრებაში, დიდი შემოქმედებითი მისია აქვს დავალებული ქართველი ერის ცხოვრებაში. ამ დანიშნულების განხორციელება, ამ დიდი ეროვნული როლის თამაში მისთვის შეუძლებელი იქნება მტკიცე ორგანიზაციის გარეშე. ჩვენი ბურჟუაზია ასპარეზზე გვიან გამოვიდა, მას არც ტრადიცია აქვს და არც, მაშასადამე, სკოლა. თვითეული მისი წარმომადგენელი სუსტი თანხის პატრონია და სხვა ერის ძლიერ მეტოქეს პირისპირ ბრძოლაში ვერ აუთავდება. ამიტომაც დიდი ეროვნული საქმის გაკეთება თავის საპროფესიო ნიადაგზე დარაზმვით, ჩვენს ბურჟუაზიას შეეძლება მხოლოდ და მხოლოდ მტკიცე ორგანიზაციის შეკვრით. გარდა პირადი საპროფესიო ვნებისა, რომელიც მოაქვს მისთვის დაქსაქსულობას და დაფანტულობას, ქართველი ბურჟუაზია თვის მოუწყობლობით ღალატობს და აფერხებს ქვეყნის ეროვნულ ინტერესს. ამ შეგნებამ უნდა მეტი სიფხიზლე და სიცხოველე შეიტანოს ქართველი ვაჭრობის ცხოვრებაში და დაკარგული დრო ერთი ორად აანაზღაურებინოს. ქართველი ვაჭრები უნდა სწრაფად შეერთდნენ და დააარსონ ერთი ვაჭართა საზოგადოება. ქართველი ბურჟუაზიისთვის ეს პირველი მორიგი საკითხია. მისი დარაზმვა საერთო ეროვნული ორგანიზმის გამაგრება იქნება. ჩვენი მოვალეობაა მთელის ენერგიით და ნდობით მოვეკიდოთ ამ საქმეს და დავიცვათ იგი ყოველ უმართებულო იერიშისაგან.

## ქართული პრესა

ბ-ნი გერონტი ქიქოძე „სახალხო ფურცელში“ ეხება ომისა და ეკონომიურ ცხოვრების ურთიერთობას და ითვალისწინებს იმ ეკონომიურ შედეგებს, რაიცა შეიძლება მოჰყვეს მსოფლიო ომს წინა აზიის ცხოვრებაში. კერძოდ საქართველოს შესახებ ავტორი შემდეგ აზრს გამოსთქვამს:

... ამ მომენტის ღირსეულად შესახვედრად ბევრი რამ გვჭირია ქართველობას. საჭიროა თანამედროვე მეცნიერული და ტეხნიკური ცოდნა, საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაცია, პირადი ინიციატივის, მუყაითობის და შორს მჭერეტელობის გაძლიერება. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. **ყველაზე მეტად ეროვნული კაპიტალია საჭირო.** (ხაზი ჩვენია) თუ ნივთიერი ძალა არ გვექნა, უცხო კაპიტალი გრდემლს და კვერს შუა გაგვატარებს, ჩვენი ქვეყნის დოვლათს მიითვისებს, ჩვენ კი ყოველდღიური შრომის ხელფასს მოგვიგდებს. მაშინ შეჩერდება სულიერი კულტურის განვითარებაც და განიავდება ყველაფერი რითაც ამაყობს ქართველობა.

მართლაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური სიმტკიცე წარმოუდგენელია ეროვნული კაპიტალის, ეროვნული მრეწველობის და საერთოდ ეროვნულ ბურჟუაზიის გარეშე. ეკონომიური ცხოვრების ამგვარი შეგნება ბევრ ვალდებულებას გვაკისრებს. პირველი ვალდებულება ისაა, რომ ხელი შეუწყოთ ამაღორძინებელ ბურჟუაზიულ ძალას, დავიცვათ იგი, შევქმნათ მისი იდეოლოგია. ლოღიკა ამას მოითხოვს. ეხლა თვით „სახალხო ფურცელმა“ გვითხრას, თუ რამდენად პირნათელია იგი ამ ლოღიკის წინაშე.

## რუსული პრესა

პოლონეთის დამოუკიდებლობის შესახებ „რუსკ. სლოვო“ სწერს: „პოლონეთის სრული დამოუკიდებლობის საკითხი ანუ ფართო ავტონომიისა დამოკიდებულია ჯერ კიდევ გამოურკვეველ პირობებისაგან. ჯერ-ჯერობით რის თქმაც ახლავე შეიძლება გახლავთ ის, რომ იგი იქნება როგორც ძალოვნების ნაყოფი და არა რუსეთის დასუსტების ნიშანი, ვინაიდან დასუსტებული რუსეთისთვის დამოუკიდებელი პოლონეთი ფრიად საშიში იქნებოდა. ყოველისფერი დამოკიდებულია იმისაგან თუ პოლონეთის რა ნაწილს დავიბრუნებთ. თუ ჩვენ შევძლებით პოლონეთის სამთავე ნაწილის შეერთება, ნაინც შეუძლებელია თუ გერმანეთი მთლად არ იქნა დამარცხებული, მაშინ პოლონეთის დამოუკიდებლობის საკითხი უსათუოდ უნდა აღძრული ლა დადასტურებული იქნეს. თუ მხოლოდ რუსეთის პოლონეთს დავიბრუნებთ, მაშინ მხოლოდ ავტონომიაზე შეიძლება ლაპარაკი და მეტი არაფერი... ფალსიფიკაცია და პოლონეთის გაყოფა,—აი რას უნდა ებრძოლოს რუსეთი უწინარეს ყოვლისა, როგორც თვით პოლონელები. ეროვნული გაერთიანება პოლონეთისა,—აი რა უნდა დაისახონ მიზნად ერთმაც და მეორემაც...“

ჩვენ ჩვენის მხრით ვიტყვით: ყოველისფერი კარგია, რაც კარგად თავის დროზე ითქმის. რუსული პრესა, როგორც თვითონ მართველთა პოლი[illegible] საკითხის გარდაწყვეტას [illegible] უყურებდა. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ სალმა შეხედულებამ მეტისმეტად... დაგვიანა!

## ახალი ამბავი

**მეფის ნაცვლის საბჭომ** განიხილა ამომრჩეველთა სიები ქალაქის გამგეობისა და მოხსენება ტფ. გუბერნატორისა. რომელშიაც იგი მრავალ უწესრიგობასა ჰხედავს. აგრეთვე განმარტებანი ქალაქის მოურავისა გუბერნატორის შენიშვნებზე. საბჭომ სიების საბოლოოდ განხილვა შემდეგის კრებისთვის გადასდო.

**აკაკის პანაშვიდი.** 26 იანვარს, აკაკის გარდაცვალების წლის თავზე მამადავითის ტაძარში გადახდილ იქნება წირვა და შემდეგ აკაკის სამარეზე პანაშვიდი. იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე ქვაშვეთის ტაძარში გადახდილ იქმნება პანაშვიდი.

**სიონის ტაძარში** გუშინ გადახდილ იქმნა საქართველოს ეგზარხოსის პლატონის მიერ პანაშვიდი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვისა.

**ახტალის სამკურნალო ტალახი.** დღეს, 19 იანვარს, თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი, კავკასიის საკურორტო საზოგადოების წევრი, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი კახეთს მიემგზავრება 10 დღით ახტალის სამკურნალოს საქმის მოსაწესრიგებლად.

**გერმანელთა ახალშენებში.** კავკასიის ყველა გერმანელთა ახალშენებში მთავრობის განკარგულებით დაინიშნა მთავრობის მამასახლისები, რომელთა შენახვაც ახალშენების მცხოვრებთ დაეკისრათ. მთავრობის მამასახლისების განკარგულებაშია საერობო დარაჯთა რაზმები.

**წესდების დამტკიცება.** გამოვიდა შევსებული და დამტკიცებული წესდება ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისა.

**ბატანიკურ ბაღის** დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა მიწადმოქმედების დეპარტამენტთან საბოტანიკო ბაღთან მუშათა სკოლის დასაარსებლად დახმარების აღმოჩენის შესახებ.

**სამადლობელი დეპეშა.** ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა სამადლობელი დეპეშა მიიღო სტატს-დამა გრ. ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისაგან, გრ. ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის გარდაცვალების სასამძიმრო დეპეშისა გამო.

**კავკავის რკინის გზა,** როგორც ამბობენ, გამოირიცხა იმ გზათა სიიდგან, რომლებზედაც საქონლის მიმოსვლა ექვემდებარება სამხედრო უწყებას. ამ წესის გამო ამის შემდეგ საქონლის გადმოტანა ჩვენს მხარეში უფრო გაძნელდება.

**ქალაქთა კავშირის** კავკასიის განყოფილებამ 300,000 მანეთი გაუ-

## საინგილოს გადაგვარება

საინგილოს გადაგვარება-გადაშენება, ანუ სამეცნიერო ტერმინოლოგიით რომა ვსთქვათ ასსიმილიაცია, ე. ი. ერთის ეროვნების მეორეში გათქვეფა და განიორწყლება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და სისრულით არ ჩამოყალიბებულა. პროცესი ამ გადაგვარებისა თანდათანობითა სწარმოებს, ნელის, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ და უფსკრულისაკენ მიექანება, ქართველობის საკითხი საინგილოში.

გულსაკლავია და სავალალო ამ პროცესის ისტორია, რომლის დასაწყისიც მეჩვიდმეტე საუკუნიდან იწყება, იმ დროიდან, როდესაც პირქუშმა შაჰაბაზმა ააფორიაქა მთელი საინგილო, ცეცხლსა და ნავთს მისცა ყოველივე და რაც სიკვდილს გადურჩა, ის უწყალო მტერმა წინ გაირეკა და ირანს შეაკედლა. ამ იშვიათს თავისს სიმკაცრითა და მრისხანებით მთელს მსოფლიო ისტორიაში აკლება-აწიოკებას, რის ვაი-ვაგლახით გადარჩა აქა-იქ თითო მუჭა ქართველობა, მტრის მრისხანებისაგან მთებსა და მიუვალს ხეობებში შეკედლებულნი. მტრის წასვლის შემდეგ ეს დევნილნი და აკლებულნი გამოვიდნენ მიუვალს მთებიდან, დაგროვდნენ ქვრივ-ოხერნი, როგორც სამართლიანად ამბობს ერთი ხალხური სიმღერა და „კიდევა ჰქნეს ერობა“. აი ამ გადარჩენილს ხალხს, გარდა ენისელისა, რომელშიაც იყო და არის ძლიერი ქართველობა და სადაც ცალკე სამოურაო ჰქონდათ ქართველთა მეფეებს, დანარჩენს ადგილებში ქართველებმა ვერ გაუძლეს და ვერ შეინარჩუნეს თავის ეროვნული ელფერი და სხვა ერებში გაითქვიფნენ ასე მოხდა სოფ. ჯარში, კატეხში, მაწეხში, ბელაქანში და მრავალ სხვაგან. აქ მცირე ნაწილი ქართველებისა ვერ უძლებდა თანდათან გაძლიერებულს ტალღას ლეკებისას, რომელნიც დაუდგომელ მდინარესავით მიიწევდენ დაღესტანიდან და საინგილოს ავსებდნენ. ეს ტალღა ისეთი ძლიერი იყო, რომ სავსებით აივსო ზემო ჩამოთვლილი სოფლებს გარდა, მთელი მუხახირი, სუვაგილისა და ქურმუხის ხეობის დასაწყისიც. აქ მდებარე დიდს სოფლებში ჯერაც კიდევ შენახულია სხოვნა და ყველანი მიგითითებენ რომ ესა და ესენი ჩამომავლობით ქართველები არიანო, ზოგიერთებს გვარებიც კი ახსოვთ დღემდის და გუჯარ-ქაღალდებიც მოეპოებათ ქართველ მეფეთაგან მიცემული, რომელთაც მალავენ და იშვიათად თუ აჩვენებენ ვისმეს. ესენი არიან ჭავჭავაძეები სოფელ გოგამში, ლეონიძეები და ერისთავნი ჭარში, ვაჩნაძეები ბელაქანში და სხვანი და სხვანი. ეხლა რასაკვირველია მათ ქართველობისა არა სცხიათ რა და არც ქართველად მოაქვთ თავი, მხოლოდ ხსოვნა, ცარიელა ხსოვნაღა შერჩენიათ რომ მათი წინაპარნი ოდესღაც გურჯები—ქართველები ყოფილან. ხშირად შეხვდებით ამგვარს სოფლებში პირწავარდნილს ქართველს, რომელიც სახით გამომეტყველებით, მოყვანილობით პირწმინდა ქართველია, გინდათ დაელაპარაკოთ, ქართულად ესაუბროთ, მაგრამ ვაგლახ რომ ქართველს ქართულისა აღარაფერი ეყურება და სალაპარაკოდ მომართული პირი, მწარედ გიდუმდება.

აი ამ სოფელში პროცესი გადაგვარებისა ანუ ასსიმილიაცია უკვე დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. ქართველი ეროვნება, უკვე შემოსეულს ეროვნებას ჩაუყლაპავს და ჩაუნთქავს. მათი გამობრუნება, გაქართველება მარტო სასწაულსღა შეუძლიან.

ჩვენდა საბედნიეროდ ასე არ არის დანარჩენს საინგილოში. როცა 1803 წელს საინგილო რუსეთის მხედრობამ ძალით შემოუერთა საქართველოს, ქართველობა საინგილოში კერძოთ ენისელში სანუგეშო ძალას წარმოადგენდა, რომლისათვისაც გაპარპაშებული ჭარ-ბელაქანი იძულებული იყო ანგარიში გაეწია. მაშინდელი ქართველობა მთელს საინგილოში ფარულად ქრისტიანობას აღიარებდა და მთელი მათი გულისყური საქართველოსაკენ იყო მიმართული და იქიდგან მოელოდნენ შველას. ქართველობა მაშინ შენახული იყო მთელის თავისს სახით და ჩვეულება-ადათებით მაშინდელს ენისელში, რომელიც დღეს ალიაბათის საბოქაულოს წარმოადგენს და მეორე ნაწილში კიდევ, რომელიც ელისუს სასულთნოში იყო მოქცეული და მის სულთნების მუდმივ მრისხანებას განიცდიდა. რომ მაშინ ენისელში ძლიერი იყო ქართველობა და მასთან ერთად ქრისტიანობა, ამას ნათლად მოწმობს ის ხელშეკრულობა, რომელიც ჭარ-ბელაქანელ ლეკებთან დადებულ იყო 1803 წელს რუსის მხედრობის მიერ და რომელიც სიტყვასიტყვით შემდეგს ამბობს: „ჩვენ ჭარბელაქნის ლეკები მოვალენი ვართ დღეის უკან ალიაბათის ქართველებს ხელი აღარ შეუშალოთ ქრისტიანულ სარწმუნოების აღიარებაში და ეკლესიათა აშენებაში“. აქედან აშკარადა სჩანს, რომ ქრისტიანობა და მასთან ერთად ქართველობა, ჯერ კიდევ საკმარისად ძლიერი ყოფილა ენისელში, რომ აიძულებდნენ ჭარ-ბელაქნელებს თავისს სასარგებლოდ ამ მუხლის შეტანას. ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, ამბობს თავისს ერთ-ერთ მოგზაურობაში, ბოდბის მიტროპოლიტნი მუდმივ გადაცმულს მღვდლებს ჰგზავნიდნენ საინგილოში, რომელთაც აღდგომა-ნათლის ღების ნაკურთხი სამთელ- საკმელი მოჰქონდათ და ყოველივე მღვდელ-მოქმედებას ასრულებდნენო. ამასვე მოგვითხრობენ მოხუცნი, რომელთა სიტყვითაც ქრისტიანობა იმდენად ძლიერი იყო, რომ მრავალი ხალხი დაიარებოდა ხოლმე სალოცავათ დღეობებში ქურმუხის წმინდა გიორგზედ, თასმილოში კვირაცხოვრობას, ბაზარ-მოხთალაში და სხვაგან.

სარწმუნოება და ეროვნება კიდევ ძველს დროში, ხომ სინონიმები იყვნენ და თუ რასაკვირველია ძლიერი იყო საინგილოში ქრისტიანობა, მაშასადამე ძლიერი იყო ქართველობაც. ასეთ მდგომარეობაში იყო საინგილო წარსული საუკუნის 50 წლამდის, როცა ქრისტიანობის აღდგენას შეუდგნენ საინგილოში. ამ ქრისტიანობის აღდგენას თავისი ისტორია და წარსული აქვს, ბევრი კეთილი მოღვაწე ერია იმ სამღვდელო პირთა შორის, რომელნიც ეწეოდნენ იქ სამისიონერო მოღვაწეობას, მაგრამ ჩვენ მათი ღვაწლის აღნუსხვა არა გვაქვს სახეში, ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ეს მისია ე. ი. ქრისტიანობის აღდგენა საინგილოში სასურველად ვერ დათავდა, თან მრავალი დაბრკოლება შეხვდა, რომელიც არ ძალედვა გადაელახა ჩვენს სამღვდელოებას.

დიდათ ცნობილი ქართველს საზოგადოებაში მღვდელი დ. ჯანაშვილი მთავარ მიზეზათ ზოგიერთ იმამისა და მოლის უკმაყოფილებასა სთვლის, რომელთაც ქრისტიანობის აღდგენით მოესპოთ ყოველივე შემოსავალი. თუმცა მთავრობამ ზოგიერთს პენსია დაუნიშნა, მაგრამ უკმაყოფილო მაინც ბევრი დარჩა და აი ეს უკმაყოფილონი უკანვე ეწეოდნენ ხალხსა. მაგრამ მთავარი მიზეზი სხვა იყო. ეს სხვა ჰაჯი მურთუზას ცნობილი აჯანყება იყო. ეს თავგასული ბელაქნელი ლეკი-მაიორის ჩინის მქონე, რომელსაც დიდის პატივით ექცეოდა ისეთი დიდებული გვამი, როგორიც იყო სარდალი და პოეტი გრ. ორბელიანი, მეტის მეტად გათამამდა და თავს წავიდა. მიზეზიც ჰქონდა ასე გათამამებისა, თვით გრ. ორბელიანი თავისს წერილებში აფიცრებისადმი მიწერილობაში, არა ერთგზის იხსენიებს, რომ ამ საქმის შესახებ ჰაჯი მურთუზას ჰკითხეთო, ის მოაგვარებს ყველაფერს, უიმისოდ ვერაფერს გახდებითო *). იმდროს შამილთან ომი სწარმოებდა, ჰაჯი მურთუზამ დიდი დახმარება გაუწია რუსის მხედრობას, რის გამო უბრალო ლეკს მაიორის ჩინი მისცეს. შემდეგ როცა შამილი დაეცა და ჰაჯი მურთუზაც უსაქმოდ დარჩა, საინგილოში მოაწყო მან აჯანყება, რომელმაც გენერალი შალიკოვი და მრავალნი სხვანი იმსხვერპლა.

მიზეზი აჯანყებისა **) ქრისტიანობის აღდგენას მოახვიეს თავზედ, რის გამოც ვითომ ხალხი უკმაყოფილო იყო და იმიტომ აჯანყდა. ცეცხლით შეშინებული დოს უბერავდაო, ასე იყო რუსეთის მხედრობის საქმეც. შამილის თარეშობით შეშინებულს ეხლა გული გაუსკდა, მეორე შამილის მსგავსი არ გამოჩნდესო და ფიცხლავ აჯანყების მიზეზის სრული აღმოფხვრა და ჩაქრობა მოინდომეს და რადგან მიზეზად მიჩნეული იყო ქრისტიანობის აღდგენა, ამიტომ მთავარი უბედურობაც მას დაატყდა თავსა. საჯაროდ გამოაცხადეს, რომ მთავრობისათვის სულ ერთია რომელი სარწმუნოებისაც უნდა იყვნეთო მისი ქვეშევრდომიო და ძალას არავის ვატანთო, რომელი სარწმუნოებაც უნდათ თავიანთი ნება-ყოფლობით ის აღიარონ. მაგრამ მთავრობის მორჩილი აგენტები—ბოქაულები ამითი აღარ კმაყოფილდებოდნენ ქრისტიანებს გიაურებადა ნათლავდნენ თურმე და საჯაროდ ურჩევდნენ გამუსულმანებას. მრავალი ფრიად საგულისხმო ცნობებია ამის შესახებ მოხუცთა ხსოვნაში შენახული, მაგრამ მათ აღსანუსხავად არც დრო და არც წერილის სივრცე გვაძლევს ნებას.

ასეთი საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა ამ პირქუშ ლეკის აჯანყებას საინგილოში ქართველთათვის. მას შემდეგ ჩარხი უკუღმა დატრიალდა, საინგილოს ბევრმა სოფელმა ზურგი შეაქცია საქართველოს და ის სოფლები სადაც უკვე ქართული წირვა-ლოცვა გაისმოდა უკანვე გადაბრუნდნენ;ნ უკანვე გადაბრუნდნენ მეთქი ვამბობ, მაგრამ ასეთი გამოთქმა სისწორით ვერ გამოჰხატავს პროცესის მიმდინარეობას. ისინი ხომ წინადაც არ იყვნენ მუსულმანები და ან თუ იყვნენ მხოლოდ გარეგნობით მტერთა მოსატყუებლად და ეხლა კი ნამდვილი მუსულმანები ხდებოდნენ.

მრავალი სოფელნი გამუსულმანდნენ და ხელში შეგვრჩა ხუთი ქრისტიანი სოფელი, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევს უდიდესი სოფელი კაკი. დანარჩენნი კი იმ ს. ალიაბათის მეთაურობით, რომელიც რუსეთთან ხელშეკრულობის დროს ქრისტიანობის აღიარების თავისუფლების მოპოვებას ცდილობდა, ეხლა უარს ამბობს ქრისტიანობაზედ და თან იდევნებს დანარჩენ ინგილოთა სოფლებს.

(დასასრული იქნება)

**ზ. ედილი.**

—

*) ამის შესახებ ქართულად დაწერილი წერილები გრ. ორბელიანისა ძველს „ივერიის“ ნომერშია დაბეჭდილი.

**) ამ აჯანყებას ჩვენ ცალკე ვრცელ წერილებს ვუძღვნით.

გზავნა ეკატერინოდარის ქალაქის გამგეობას ლაზარეთების შესანახად.

✦ **ქალაქის მოსამსახურეთა** მომხმარებელი სავაჭრო მაღაზია უკვე გაიხსნა ველიამინოვის ქუჩაზე.

✦ **ქალაქთა კავშირის კომიტეტმა** აცნობა გადმოხვეწილთა სვე-ბედზე მზრუნავ კომიტეტის თავჯდომარეს გენერალ თამამშევს, რომ გადმოხვეწილთათვის უკვე მზად არის 444.287 მანეთის სათბილობელიო.

✦ **საქონლის გადმოსაზიდად** ვაგონების გაცემა-განაწილება გადაეცა მეფის ნაცვლის სამხედრო საქმეთა თანაშემწეს გენ იანუშკევიჩს.

✦ **გადამდები სნეულებანი.** 18 ამა თვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 165, ხუნაგიანი 25, სახადიანი 23, საოფლიანი 6, წითელი ქარიანი 1, მინინგიტიანი 2 კაცი.

✦ **დიდი საღამო.** ახალი კლუბის დარბაზში კვირას, 24 იანვარს ქართული საქველმოქმედო საზოგადოება გამართავს საღამოს თავის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად. საღამოს საზოგადო შინაარსი: საკონცერტო, დრამატიული, ლიტერატურული და სხ. განყოფილება.

✦ **ფოსტის მთავარ უწყების** განკარგულებით 21 იანვრიდან 23 იანვრამდე მოხდება ფულის მოგროვება დაჭრილ და დაავადებულ მხედართა სასარგებლოდ. ფულს როგორც საფოსტო დაწესებულებებში, ისე ქუჩებშიაც შეაგროვებენ.

✦ **საცდელი მინდვრები.** საგარეჯომ უკვე მიუზომა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას 10 დესეტინა სასოფლო ადგილი საცდელ-საჩვენებელ მინდვრის გასამართად. საზოგადოება ეხლავე აპირებს მინდვრების დამუშავების დაწყებას.

✦ **სასურსათო საქმის მწარმოებელი.** ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებამ ბ-ნი აგარონიანი მოიწვია სასურსათო განყოფილების გამგედ.

✦ **შემოწირულება.** რედაქციამ მიიღო შემოწირულება ბ. **კოტე ქურდევანიძესაგან** 6 მანეთი: 3 მანეთი ქართულ თეატრის ფონდის გასაძლიერებლად და 3 მანეთიც აგარაკის სასარგებლოდ.

✦ **ბავშვთა გასართობი სოფლად.** დღეს ილია ნაკაშიძე ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მინდობილობით სოფ. ოქროყანაში გამართავს საინტერესო საბავშო საღამოს ლექციის კითხვით და ბუნდოვან სურათებით.

✦ **სურსათი ქალაქისათვის.** ქალაქის გამგეობამ 300 სული სხვილ ფეხი საქონელი იყიდა ჩრდილო კავკასიაში საცდელად ხორცის გაყიდვის მოწყობისათვის და მიწადმოქმედების სამინისტროს რწმუნებულს ბ-ნ შაშკოვსკის დახმარება სთხოვა ამ საქონლის მოსარეკად თბილისში კავკავის სამხედრო გზით.

**პეტროგრადი.**

პეტროგრადის მიტროპოლიტმა პიტირიმმა სინოდში საკითხი აღძრა, რომ პეტროგრადში დაარსდეს მართლმადიდებელ-ქართველთა მრევლი და მათთვის ქართულ ენაზე მოეწყოს წირვა-ლოცვა.

# მილოვიადა

სახელოვანია მილოვი:

თბილისის მილიონერთა შორის იმასაც კარგა ხანია იცნობენ.

მ—ვს იცნობდნენ როგორც ერთ მესვეურთაგანს, რომელიც ვაჭართა სახელით „დიდი საჩუქრით“ წარუდგა ომის საჭიროებისთვის.

იცნობდნენ როგ[illegible] საუკეთესო მაღაზიის პატრონს.

როგორც თბილისის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარეს.

როგორც ვაჭართა საზოგადოების თავმჯდომარეს.

როგორც სომეხ ვაჭართა ბანკის სულის ჩამდგმელს და სხვა და სხვა.

მილოვი და ადელხანოვი უმთავრესი სულის ჩამდგმელები არიან გაზ. „კავკ. სლოვის“ გამომცემლობისა.

მაგრამ ყოველისფერი გაფასდა იმასთან შედ[illegible]ით, რაც ეხლა მოხდა:

ქალაქს მის სახელის გარშემო გააქვს განგაში...

აქებენ მის მარჯვე ხელს...

გაქნილობას...

ან და რატომ არ უნდა აქონ?

ვინ მოიფიქრებდა, თუ ასეთი ტიტულ მოსილი სახელოვანი ვაჭარი „ბურჯი საზოგადოებისა“, მშვიდობიან მძარცველთა მეთაური გახდებოდა.

მძარცველი-ქურდი.

მილიონების!

მოკლე ცნობა პოლიციისა ბევრ რამეს ამბობს:

„მილოვს სახაზინო მაუდი სისტემატიურად უპარნია გ. გ. ადილხანოვისა და კომპანიის საშუალებითაო“.

ასეთმა სისტემამ ჯერ-ჯერობით მილიონზე მეტი შესძლვნა...

შესძლვნა, მაგრამ მოჯადოვებული წრეც გაარღვიეს.

„პატიოსან და უწყინარ“ ქურდების კვალს მიაგნო პოლიცმეისტერმა კ. ა. ზდანოვსკიმ.

ბოროტმოქმედების ხეივანი გაკაფულია.

მილოვი და მისი მეგობარი ვაჭრები ჩაჩიკიანი და ოსიპიანცი უკვე დაუპატიმრებიათ.

ამბობენ, ზოგიერთს გული გაჰხეთქია შავს კარეტაში ჩაჯდომის დროს.

ზოგის ტემპერატურა 40-° ასულა.

სახელოვანია მილოვი.

„საზოგადოების ბურჯი“!

„უკვდავი“ ხდება ვაჭართა შორის უპირატესი!

ალბად მერმისაც „დიდი საჩუქრით“ წარუდგება უავგუსტოეს სტუმარს!

**ქართლელი.**



საქართველოს ექსარხოსი პლატონი.

# საუბარი
## საქართველოს ექსარხოსთან

„საქართველოს“ რედაქციის დავალებით შაბათს, 16 იანვარს, საქართველოს ექსარხოსს პლატონს სადარბაზოდ ვესტუმრე.

პირველი ჩემი კითხვა იყო:

— თქვენო მეუფებავ, თქვენს ახალს სამწყსოს ჰფიქრობთ უწოდოთ საქართველოს ეკლესია, თუ ამიერ-კავკასიის ან კიდევ ნარევ ეროვნებათა ეკლესია?

მისი მეუფების სახეზე ერთხანს განცვიფრება აღიბეჭდა.

— თქვენ თვითონ, ასეთი კითხვა ცოტა უცნაურად არმიგაჩნიათ?—თავის მხრივ შემეკითხა მისი მეუფება.

ჩემს თავს ძალას ვატან, ვჭქარობ და ვცდილობ ჩემი აზრი ნათლად გამოვთქვა:

— ერთის მხრივ, დიაღ, თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ; მაგრამ, როგორც საქართველოში ისე რუსეთშიაც მოიპოვებიან ისეთი პირნი, როგორც ადმინისტრაციაში ისე პუბლიცისტიკაში, რომელნიც, რაღაც მიზეზით, შემთხვევას არ გაუშვებენ, რომ ივერიის ეკლესია მონათლონ ამიერ-კავკასიის ან-და სხვა და სხვა ეროვნებათაგან შედგენილ ეკლესიად.

— ვიცი, დიაღ ვიცით,—მიპასუხებს ექსარხოსი, მაგრამ ეგ სწორე არ არის. კავკასიაში არის ადგილები, სადაც ქრისტიანებს ვერ იპოვნით, მაშასადამე, ჩემი მწყემსმთავრული უფლება იქ არცა ვრცელდება. მე ვარ მხოლოდ ექსარხოსი საქართველოსი, მთავარ ეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა.

შემდეგ კითხვაზე გადავდივარ:

— იცნობს თუ არა თქვენი მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობა საქართველოს საეკლესიო ცხოვრების ცხოველმყოფელ საჭიროებათ? თქვენი მეუფება როგორ უცქერის საქართველოს ეკლესიის მისწრაფებას ავტოკეფალიისადმი? მიგაჩნიათ თუ არა ეს მისწრაფება ისტორიულად და კანონიურად სამართლიანად?

— საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, დიდი და სერიოზული საკითხია. მე კარგად ვიცნობ საქართველოს ეკლესიას, ვიცი აგრეთვე მისი მისწრაფებანიც. ამჟამად რისიმე გადაჭრით თქმა, ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ასეთ არსებითს (კარდინალურ) საკითხის გადაწყვეტა შეუძლიან მხლოდ სათაყვანო თვითმპყრობელის სურვილს. ალბად გეცოდინებათ, რომ საეკლესიო კრების წინასწარ თათბირზე სხვა და სხვა აზრი გამოითქვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე. როდესაც ამ თათბირის ნამუშავარი წარუდგინეს, ხელმწიფემ ისეთი რეზოლიუცია წააწერა, რომლის ძალითაც ამ საკითხის არსებითად გარჩევა მერმისის საეკლესიო კრებას გადაეცა. საზოგადოდ კი, ეხლა, როდესაც ჩვენი სამშობლო ასეთს მძიმე წუთს განიცდის, როდესაც ყველა ჩვენი ფიქრი და ზრახვა ერთის მიზნისაკენ არის მიმართული,—განვდევნოთ მტერი და ჩვენი რუსეთი მშვიდობიან, შემოქმედებითს მუშაობას დავუბრუნოთ,—ვიმეორებ, ასეთ ისტორიულ, ტრაღიკულ წუთს ასეთ საკითხებზე ფიქრიც კი შეუძლებელია და არც დრო არის.

აქ მისი მეუფება სასოებამ მოიცვა და მესმოდა მხოლოდ მისი მეუფების ღრმა რწმენით ნათქვამი სიტყვები: ყოვლად მოწყალე ღმერთი შეგვეწევა და სამშობლოს ტანჯვათაგან იხსნის.

მცირე სიჩუმის შემდეგ, მესამე კითხვაზე გადავდივარ:

— თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, მიგაჩნიათ თუ არა სასურველად და საჭიროდ, სასულიერო უწყების სასწავლებლებში დედა ენაზე სწარმოებდეს სწავლება?

— ეს კითხვა მეტად საჭირო და დიდმნიშვნელოვანია—მოწონებით შემნიშნა მისმა მეუფებამ—რა თქმა უნდა, აქ ორ აზრს ადგილი არა აქვს, მორწმუნე უსათუოდ მისთვის გასაგები ენით უნდა ლოცულობდეს; მაშასადამე სამღვდელოებაც უნდა იცნობდეს და აღზრდილი უნდა იყო თავისი ერის მშობლიური სულით, თუმცა ამავე დროს მე ჩემს სამწყსოს გზას ვერ დავუხშავ, რომ ეცნობოდეს რუსულს სულიერ აზროვნებას.

შემდეგ მის მეუფებას ვეკითხები:

— საჭიროდ ხომ არ მიგაჩნიათ რაიმე რეორგანიზაცია (ცვლილება) მოახდინოთ საქართველოს ეკლესიის ხაზინაში, რომელიც შესდგება საქართველოს ეკლესიის ჩამორთმეულ მამულების შემოსავლიდან. ეხლა ეს თანხა ისეთს დაწესებულებებს ჰხმარდება, რომელთაც რუსეთში სახელმწიფო ხაზინა ინახავს ან უწმინდესი სინოდი: სასულიერო სემინარია, სინოდის კანტორა?

— თქვენ, ბატონო ნამდვილ საპროგრამო, არსებითს კითხვებს მაძლევთ. დიდათ მოხარული ვარ, ეს ძალიან კარგია.—მიპასუხებს მისი მეუფება,—ეხლა მე ვმუშაობ საქართველოს ეკლესიის სწორედ მაგ არსებითს საკითხების გადაწყვეტაზე. ამ საკითხზე რომ არ მეფიქრა, რა თქმა უნდა, არ შემეძლო. საზოგადოდ კი, ჩემის სახელით დასწერეთ, რომ მისი მეუფება მთავარ ეპისკოპოსი პლატონი ავანსებს არ იძლევა. დავხედავ საქმეს და დავაფასებ საქმეს.

ეს უკანასკნელი სიტყვები მისმა მეუფებამ განსაკუთრებით ხაზგასმით წარმოსთქვა და მომმართა კითხვების მიცემა განმეგრძო.

ჩემი უკანასკნელი კითხვა იყო:

— რა გზით აპირებს თქვენი მეუფება ქართულ მრევლში საეკლესიო-სარწმუნოებრივ მხარის გამოცოცხლებას? როგორ ფიქრობს მისი მეუფება მოაწესრიგოს მრევლსა და სამღვდელოების შორის დამოკიდებულება, რომელიც ხშირად მწვავდება, რადგანაც ქართველი სამღვდელოების ჯამაგირების საქმე მოუწესრიგებელია, მათ არ ეძლევათ სანადელო მიწები, როგორც რუსეთსა და ამიერ-კავკასიაში მყოფ რუს მართლმადიდებლებში არის მიღებული.

— აი, სწორედ ეგ არის ჩემი სიცოცხლის უმთავრესი საქმე, რომ ხალხში აღვადგინო სარწმუნოებრივი ცხოვრება, ხალხის სულიერი მისწრაფება ეკლესიისაკენ მივმართო, შთაუნერგო მათ სიყვარული და პატივისცემა ეკლესიისა, ხალხსა და მწყემსთა შორის ზნეობრივი კავშირი გავაბა, ყველა ამ მიზანთა განხორციელება ჩემს სიცოცხლეს ბედნიერებით აღავსებდა.

მისმა მეუფებამ ჩემთან საუბარი დაასრულა, დამლოცა და მისი მეუფების დარბაზი დავტოვე.

**ალ. ახმეტელი.**

# ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო აპოლ. წულაძის მიერ შედგენილი წიგნი **„ძმური სიტყვა ქართულ მუსულმანებს“**. წიგნი ფრიად საინტარესოდ არის შედგენილი. შიგ მოთავსებულია მრავალი სურათი ჩვენი მოღვაწეებისა, მწერლებისა, აგრეთვე გამოჩენილ მაჰმადიანთა სურათები. ბარათების სიუხვე, სიტყვა-პასუხი ჩვენსა და ჩვენს მოძმე აჭარელთა შორის, მთელი ლექსები, ყველა ეს თბილსა და საგრძნობ შთაბეჭდილებას სტოვებს ადამიანზე. წიგნი ღირს სამი აბაზი. მთელი შემოსავალი გარდაეცემა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას.

# „არტაანის არე-მარეში“

ამ სათაურით ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული მ. ე. კარაკოზოვის მიერ **„იენი—იკბალ’ში“** მოთავსებულ წერილს სავსებით ვბეჭდავთ:

ყველას მოეხსენებათ, რომ ყარსისა და არტაანის მაზრებში აკლებულ და აწიოკებულ მაჰმადიანების რაოდენობა წინად გამოქვეყნებულ ცნობებზე გაცილებით მეტია. დღეს ომის მიზეზებით აუცილებელ საჭირო საგნებზე ფასებიც თანდათან იზრდება, დიდის თოვლისა გამო გზებიც შეკრულია და თითქმის საერთო მიმოსვლაც შეწყვეტილია. ასე რომ ამ უბედურთა უმწეო მდგომარეობა დღითი-დღე რთულდება და მწვავდება. რასაც დიდს საგონებელში შეჰყავს ყოველი კეთილსინდისიერი ადამიანი. ყოველ-შემთხვევაში ამ ხალხის მდგომარეობა, რომ დაწვრილებით აღვწეროთ, ნათლად წარმოდგენილი იქმნება თუ რა უბედურება სწვევია ამ ბედისაგან განწირულ ხალხს. მაგრამ საამისოდ არც დრო, არც გარემოება და არც ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ხელს არ გვიწყობს. მაინც, რამდენადაც შესაძლებელია, ვეცდები ჩემიერ ნანახი გულშემზარავი სურათების ნაწილი გავუზიარო მკითხველს.

როგორც მოგეხსენებათ, არტაანის მაზრის ბერძნებისა და სომხების მოსაზღვრე მაჰმადიანების სოფლები სულერთიანად მიწასთან გასწორებულია. სახლებში, რაც გამოსადეგარი ნივთები ჰქონიათ, ყველა დაუტაციათ და დანარჩენები კი დაუწვიათ.

მრავალ ისეთს სოფლებში მოგვიხდა გავლა, სადაც თითქოს არასოდეს ცხოვრება არ ყოფილა სიცოცხლის ნიშანწყალი და კვალიც აღარა სჩანსრა—ისე არის განადგურებული.

ამ ახლო ხანში მეფის მოადგილის განკარგულებით ამ ბედკრულ ხალხის მდგომარეობის გამოსარკვევად, კომისია გაიგზავნა. როდესაც კომისია საქმის გამოძიებას შეუდგა და ხალხს შეეკითხა—თქვენ ვინ დაგაყენათ ასეთი დღეო? ყველამ ერთხმად უპასუხეს; ჩვენმა მეზობლებმა

სოფელ-სოფელ დავდიოდით და ამ ბედ-შავ ხალხს ტანისამოსებს, ფქვილს, ბრინჯს, შაქარსა და ჩაის ვუნაწილებდით. მთელი ამ დროის განმავლობაში ტანთსაცმელის გახდა და საწოლში მოსვენება არ მღირსებია. ან კი სად არის ქვეშაგები, საბანი, რომელ სახლში! ქვეშაგებიცა და საბანიც ჩემი ქურქი და ნაბადი იყო და საჭმელი კი ნარევი ქერის პური, ისიც მწარე!

[illegible] თუნდაც იშოვნებოდეს ვის მოაგონდება ასეთ საშინელ სანახაობაში: ერთ დროს აქაც ადამიანები ცხოვრობდნენ, სოფელი ჰყვაოდა.

რომელ სოფელშიაც შედიხარ, ყოველგან ოხვრა, გოდება, ნაღველი, ვაება, სისხლის ცრემლები! რომელ ბავშვსაც შეეკითხები: ვისი შვილი ხარ, მამა გყავსო? გულმოკლული ამოიოხრებს; მამაჩემი მოჰკლეს. რომელ დედაკაცსაც შეეკითხები: შენ რამდენი შვილი გყავსო? ერთს ღრმად ამოიოხრებს და მოგიგებს დამიხოცესო.

რომელ მხარესაც გადაჰხედავ, ყველგან საზარლობა, დარდი, უბედურება, ვაი-ვაგლახი თვალწინ გადაგეშლება, ფეხშიშვლები, ტიტვლები თავშესაფარისაკენ მოეშურებიან, ზოგი ოცი ვერსის მანძილიდან ზოგი უფრო შორის გზიდან მოდიან აქ. თავის დღეში არ დამავიწყდება შემდეგი სურათი: სოფლის ნაპირას მივდიოდით, ერთი ბერძნის დუქნის წინ ორი მაჰმადიანი ბავშვი უიმედოდ გაჩერებულიყო. დაგვიწყეს ცქერა. ჩვენ მაშინვე მივმართეთ: აქ რამ გაგაჩერათ, რაც გინდათ გვითხარით და გიყიდით. ისინი ისევე გაოცებული გვიცქეროდნენ. შემდეგ სათნოების დამ უთხრა: იქნება ვაშლი გინდათ, გიყიდითო? ამაზე ერთი ძლიერ ამოიოხრეს და გვიპასუხეს: ჩვენ ვაშლი რად გვინდა, გვშიან, პური გვიყიდეთო. რაღა გული მოგვითმენდა, ჩვენც ავიღეთ, ცხენებს უკან შემოვისხით ბავშვები და პირდაპირ თავშესაფარისაკენ გავსწიეთ.

ამ კუთხის მცხოვრებლების ერთი ნაწილი თურმე, ვითომდა თურქებს წინამორბედობა გაუწიესო, დაუბეზღებიათ და ციხეში დაუმწყვდევიათ. ზოგისთვის ასეთი ბრალდება წაუყენებიათ თურქებს შეერთებიხართ, სამშობლოს ღალატი ჩაგიდენიათო. ასეთები სამხედრო ტყვეების სახელით რუსეთის შიგა გუბერნიებში გაუგზავნიათ, მესამენაწილი კი მოტყუებით ღამ-ღამობით გაუყვანიათ სახლებიდან, მთავრობა გიბარებთო, და წუთისოფლისათვის გამოუსალმებიათ. ეხლა ყველა ეს უკვე ირკვევა. მეფის ნაცვლის მიერ გამოგზავნილი კამისია, ამ ძალმომრეობის, ცარცვა-გლეჯის, და მკვლელობათა გამოძიებაშია. ხეთოსნებულ ოლქის ყოველ კუთხეში ამბობენ: ჩვენი ასეთს უბედურებაში ჩამგდები ხშირად კაზაკურ ტანისამოსში გამოწყობილი პირები იყვნენ, და ეხლა როგორც ირკვევა კაზაკები არ ყოფილანო და ეხლა კი ეს უბედურები დღე და ღამ დიდი მთავრისა და მისი ოჯახობის დღეგრძელობას ღმერთს ევედრებიან. რადგან მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა რაც კი კავკასიაში მეფის ნაცვლად დაინიშნა და ჩამობრძანდა, იმ დღიდანვე აქეთ მხარეს ხალხის აკლებასა და ცარცვა-გლეჯას ბოლო მოეღო. და ავაზაკებიც წელში გატყდნენ. ამ საქმეების გამო ორასამდე კაცი სამხედრო სამართალშია მიცემული, რომლებსაც, დღეს თუ ხვალ სიკვდილით დასჯა მოელით. და ვინც დამნაშავე არ არის, იმედია, ამ დღეებში განთავისუფლდებიან. მიტომ რომ ყველაფერი უკვე აშკარავდება.

ეხლაც ცოტა რამ ჩვენი საქველმოქმედო საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ მინდა მოგახსენოთ. ყარსისა და არტაანის მაზრებში დღემდე დაარსებული არის სამი საავადმყოფო და სამიც უფასო სასადილო. ამათგან ერთი სასადილო არის დაარსებული ყარსში და მის გამგეთ საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული ბ-ნი ალი ხანი კანთემიროვი; მეორე სარიყამიშშია და განაგებს ისრაილ-ბეგ ნეზერ-ალიევი; მესამე არტაანის მაზრაში ხანახის უბანშია და განაგებს სელაჰ-ბეგი სულთანოვი.

საავადმყოფოები არის დაარსებული. არტაანის მაზრაში დეგერმენ ქენდის უბანში ოცდაათი საწოლით. ამ საავადმყოფოში 25 ავადმყოფი უკვე განიკურნა უსასყიდლოდ. მას განაგებს ფერშალი ათაშვილი, სათნოების დათ არის ზურაშვილი და მომვლელად სამი კაცი.

მეორე საავადმყოფო არის დაარსებული არტაანის მაზრის არფაშენის უბანში 22 საწოლით. მის გამგეთ არის ფერშალი სკორონკო, სათნოების დათ ცერცვაძე და სათნოების ძმად იბრაიმ-ჯემბაროვი და ავადმყოფების მომვლელად სამი კაცი.

მესამე საავადმყოფო არის არტაანის მაზრის ხან-ლუის უბანში 15 საწოლით, სადაც დღეს იკურნება ათი სნეული. მის გამგედ არის ფერშალი ბონოვიჩი, სათნოების დათ ანნა და ძმად ნერიმან ალი-ასქერ-ზადე და ავადმყოფების მომვლელად სამი მამა კაცი.

[illegible] საზოგადოების სხვა რწმუნებულთა მოღვაწეობას, დღეს ჯერ-ჯერობით მუსიძე ილიასოვმა შურა-გოლისა და აკბა-ბაის მიდამოებში შეხიზნულ პირებს, 7 ათასი მანეთი დაურიგა. და ასლან-უროჯოვმა კი ზაროშათში შეხიზნულებს 5 ათასი მანეთი. ყარსის მხარეს გაგზავნილმა რწმუნებულმა ყაჰრიმანმა ბაკეროვმა ომისაგან დაზიანებულთ დაურიგა 3 ათასი მანათი. გარდა ამისა ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოებას გარდაუწყვეტია, არტაანის მაზრაში კვლავ დაარსოს ერთი საავადმყოფო. და დიღვირის უბანში ერთი უფასო სასადილო. ერთი სასადილოც უნდა დაარსდეს ოლთისის მაზრაში გორშქენის უბანში და ერთი საავადმყოფოც იმავე მაზრის ზექამის უბანში. მიზნადა აქვსთ საქველმოქმედო საზოგადოებას ერთი საავადმყოფო და ერთი სასადილო ჩილდირის მაზრაში.

არტაანში ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული [illegible]

# საკრედიტო კოოპერაცია
(აღმოსავლეთ საქართველოში)

(დასასრული)

დიდმა ომმა, სხვათა შორის, ის ზიანიც მიაყენა ჩვენს კოოპერაციას, რომ თვითეულ მობილიზაციის დროს ის თან და თან აცლის წევრებს, გამოცდილ მუშაკებს. ზოგიერთი კოოპერატივი ამ მიზეზით უკვე ჩამორჩა სხვებს და საგრძნობლად კოჭლობს. კოოპერატივების ორგანიზაციათა ზემო აღნიშნული სურათი თავის თავად იძლევა პასუხს ზემოხსენებულ კითხვაზე—რამდენათ შეუძლიათ ჩვენ კოოპერატივებს საკუთარი, დამოუკიდებელი ორგანიზაციები შექმნან და ამ გზით განავითარონ მოქმედება? ინტელიგენტთა რიცხვი სოფლად მცირეა; უხერხულ მდგომარეობაშია ამხანაგობა ჩაყენებული, როცა მას სურს გამოცვალოს ერთად ერთი საქმის მწარმოებელი ინტელიგენტი, რომლის მოღვაწეობა ამხანაგობამ იცნო საქმისათვის საზარალოდ, რომ გადააყენოს, მის მაგიერობას ვერავის დააკისრებს; ასე რომ ხშირად ამხანაგობა იძულებულია ასეთ მდგომარეობას შეურიგდეს; უხერხულ მდგომარეობაშივარდება ამხანაგობა, როდესაც ერთად-ერთი ხელმძღვანელი ინტელიგენტი სხვაგან გადადის, ან ჯარში მიდის. უნდა ვაღვიაროთ კი, რომ ასეთი შემთხვევები მაინც იშვიათია. მაგრამ, სადაც საკმაო ინტელიგენცია სოფლად, იქ ვამჩნევთ თუ არა ცდას, რომ კოოპერატივის ორგანიზაციას და მოქმედებას დამოუკიდებლობის ბეჭედი ესვას, და ადგილობრივ ძალთა მოქმედებას თავისუფალი სარბიელი ჰქონდეს? ამ შემთხვევაში ჩვენი კოოპერაცია, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, დიდ სისუსტეს იჩენს. აქ საგულისხმოა მოკლედ აღვნიშნოთ ის დამოკიდებულება, რომელიც ახლა არსებობს კოოპერატივთა ორგანიზაციებსა და მთავრობის წვრილი კრედიტის ინსპექტორებთა შორის. ინსპექტორებს ამხანაგობები ისე უყურებენ, თითქოს იგინი (ინსპექტორები) იყვნენ საქმის ბატონ-პატრონნი; უბრალო ნაბიჯს არ გადასდგამენ, რომ ინსპექტორს არ შეეკითხონ და მისგან ნებართვა არ აიღონ, არაფერი არ უნდათ უინსპექტოროთ გააკეთონ. აქ ცხადად სჩანს, რომ ჩვენ ადგილობრივ ძალებს სუსტი შეგნება აქვთ, სუსტი წარმოდგენა თავიანთ საკუთარ ძალებზე; ამაში დარწმუნებული მტკიცედ არ არიან.

ნუ თუ ეს ჩვენი გონებრივი ზარმაცობის შედეგია? ანა და ეგები ეს მოვლენა უფრო შედეგი იყოს იმის, რომ საზოგადოებრივი აზრი და შეგნება ჩვენს სოფელში ჯერ დაბალ საფეხურზეა.

1915 წლის მიმომხილველი გზას ვერ აუხვევს იმ ფრიად საგულისხმო ფაქტს, რომელსაც წარსული წლის მიწურულში ჰქონდა ადგილი: თელავში გაიხსნა „კახეთის წვრილ კრედიტის დაწესებულებათა კავშირი“. წინასწარი მოლაპარაკება კავშირის მომავალ ორგანიზაციის შესახებ იმართებოდა შარშან ქრისტეშობისთვემდი ქ. ქ. თელავში, სიღნაღში და სხვ. მაშინვე სჩანდა, რომ ზოგიერთი საორგანიზაციო კითხვები დიდ კამათს იწვევდა, უთანხმოებას და გამწვავებას ბადებდა კახეთის ინტელიგენციის წრეებში. სამწუხაროდ, რაც რომ ახლა გულწრფელად უნდა ვაღვიაროთ, ჩვენი მოწინავე წრეები დასაწყისშივე არ ჩაერია საქმეში იმ მიზნით, რომ კახეთის კავშირის მოღვაწეთა შორის ზემოაღნიშნული უთანხმოებისათვის ანგარიში გაეწია და [illegible]

13 ქრისტეშობისთვეს შეიკრიბნენ თელავში კავშირის დამფუძნებელნი. ჯერ სხვა და სხვა საორგანიზაციო კითხვებზე მოილაპარაკეს; დაბოლოს კავშირის აღმასრულებელ ორგანოს არჩევნები მოახდინეს. ნაწილი კრების მონაწილეთაგან დარჩა უკმაყოფილოდ ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტით და გამგეობის შემადგენლობით. უკმაყოფილოდ დარჩენილებმა მიზნად დაისახეს სასტიკი ბრძოლა არჩეულ ორგანიზაციასთან და ბრძოლის საშუალებად აიღეს არჩევნების განსაჩივრება მთავრობის წინაშე. რამდენიმე საჩივარი გაგზავნეს მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებაში. ზოგიერთმა უკმაყოფილოდ დარჩენილმა პირებმა თითომ ორ-ორი საჩივარი აღძრა. შედეგი მაშინვე დავინახეთ: მთავრობამ შეაჩერა ძირითადი კავშირისთვის თანხის მიცემა იმ დრომდე, სანამ აღძრუ-

ლი საჩივრები მის მიერ გარჩეული არ იქნება.

აი მოკლედ ამ საქმის ფაქტიური მხარე. მოკლედვე შევეხოთ ახლა ამ ინციდენტის მორალურ და საზოგადოებრივ მხარეს, რომელსაც ჩვენთვის უუპირველესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. კახეთის კავშირის დაარსების აზრი დაიბადა ჩვენ კოოპერატორთა წრეებში. ყველა სცდილობდა საქმე კეთილად მოეგვარებინა. თვითეული მათგანი სავსებით იზიარებდა კავშირის ორგანიზაციის დიად მნიშვნელობას ჩვენი ეკონომიურ განვითარებისათვის. ყველა ჩვენგანი წინდაწინვე აღფრთოვანებული ვიყავით იმედებით... საწადელს მივაღწიედ: კავშირის დაარსების ნება დართო მთავრობამ. ჩვენ უნდა შეგვეხედა ამ საქმისათვის, როგორც ჩვენი საზოგადოებრივი მუშაობის და თვითმოქმედების შედეგისათვის. ამის მიხედვით ჩვენი პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო სალი მოსაზრების და კეთილ გონიერების ნაკარნახევი, თვითეული ჩვენგან მიღებული საშუალება ფრთხილი და დინჯი. მაგრამ... ზოგიერთმა ჩვენმა კოოპერატორებმა ვერ გამოიჩინეს საჭირო მოქალაქეობა, და მათ მიერ სამოქმედოთ მიღებულმა ზომებმა ის დაგვანახვეს, რომ ჩვენი კოოპერატორები, როგორც საზოგადო მოღვაწენი, ჯერ ძალიან კოჭლობენ.

საკვირველი ენერგია და ინტერესი გამოიჩინა კახეთმა და მისმა ინტელიგენციამ ახალ საქმისადმი. როცა საქმე იქამდის მივიდა, რომ თვითეულ ჩვენ კოოპერატორს საზოგადოებრივი მხარე ამ საქმისა უფრო მაღლა უნდა დაეყენებია ვიდრე პირადი მისი თავმოყვარეობა, მაშინ ზოგიერთი ვერ შეჩერდა იმ სიმაღლეზე და ამჯობინა საზოგადო საქმის სიდიადეს თავის საკუთარი პატარა „მე“. აქ თავი იჩინა ბევრმა ჩვენებურმა სენმა: საზოგადოებრივმა მოუმწიფებლობამ (უფრო), კუთხურმა პატრიოტიზმმა და წამოვიდა „დონოსები“...

საქმე ამ მდგომარეობაშია. ახლა ჩვენი მიზანია—საქმის ასეთ ჭრილობას მალამო მოვცხოთ, გამოვამრთელოთ და ვეცადოთ, რომ კახეთის კავშირის გარშემო ატეხილი აურზაური ჩვენივე თაოსნობით ჩავანელოთ.

ამით ვათავებთ ჩვენი საკრედიტო კოოპერაციის მოკლე მიმოხილვას 1916 წლ. დასაწყისამდე. ვუსურვოთ ამ დიდ საქმეს, რომელმაც ასე მოკლე დროის განმავლობაში მიიღო საზოგადო მოძრაობის ხასიათი, განვითარება და შეუჩერებელი წინსვლა.

დ. ჩ—ძე.

## თანამედროვე ომი და პროფ. გრედესკული

I

17 იანვარს პროფესორმა ი. ბ. გრედესკულმა „საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში“ ვრცელი ლექცია წაიკითხა თანამედროვე ომის შესახებ. ლექცია ორ ნაწილად განიყოფებოდა და დაახლოვებით სამ საათს მაინც გასტანა.

უნდა გამოვტყდეთ, ამ სამი საათის განმავლობაში დამსწრე საზოგადოებას გრედესკულის პირიდან არა სმენია რა ახალი, ყოველ შემთხვევაში ისეთი რამ, რაიც ცნობის მოყვარე ადამიანს ახალი სახით სჩვენებოდა. არა, ლექცია ფრიად მარტივი იყო, ცალმხრივად გაშუქებული, სწორედ ისე, როგორიც გვესმის ყოველ დღიურ ჟურნალ-გაზეთების პუბლიცისტურ თუ ნახევარ პუბლიცისტურ წერილებში. ჩვენ კი მოველოდით, რომ დამსახურებული პროფესორი სრულის ობიექტივობით, ანუ როგორც იტყვიან ხოლმე, sine ira et studio, ცოდნის საგანს სწავლულის ცივი თვალით შეჰხედავდა, რომლისთვისაც სიმართლის გამოკვლევა პირველ რიგზე უნდა იყოს, ვიდრე იაფ-ფასიანი საპროპაგანდო ფერადები.

ლექციის პირველ ნაწილში პროფესორმა დაახასიათა გერმანეთის სახელმწიფოებრივი და სამხედრო განვითარება, რამაც გერმანეთი იგი მიიყვანა დღევანდელ მილიტარისტულ ძლიერებამდე და ძალ-ღონის კულტი აღიარებინა. გერმანეთის ასეთი მტკიცე ნაბიჯი მილიტარიზმის გასაძლიერებლად და ძალოვნების კულტის საღიარებლად გადადგმულ იქმნა 1871 წ. საფრანგეთთან ომის მოგების შემდეგ. ამას ხელი შეუწყო განსაკუთრებულმა ეკონომიურმა და კულტურულმა განვითარებამ, რამაც უკანასკნელ ათეულს წლებში საკულმინაციო წერტილს ააღწია.

გერმანეთი თავის თვალით ჰხედავდა თვის გამარჯვებას მსოფლიო ბაზარზე. მასში დაიბადა აზრი მსოფლიო ბატონობისა. გარეშე გერმანელისა ყველას დაბალ მოდგმის ხალხადა სთვლიდნენ, განსაკუთრებით სლავიანობას, რომელნიც მონობის უღლის საზიდად დაბადებულან და არა თავისუფალ და ლაღი სახელმწიფოს შვილებად, რომელთაც რაიმე მომავალი ულიმოდეთ მაინცა. არა, სლავიანობა მონებია—slaven-sclaven! ამ შეხედულობას იზიარებდა ყველა, ოფიციალი და არა ოფიციალი გერმანეთი, რომლის ზვიადობას თან და თან საზღვარი აღარ ედებოდა.

თქმა არ უნდა, გერმანეთის ასეთი ზრდა და მისი მილიტარისტული განწყობილება დანარჩენ სახელმწიფოებშიც მზგავს პასუხს გამოიწვევდა. ევროპის მილიტარიზმი საზოგადო სიმწიფის პერიოდში გადავიდა და ნელნელ ნიშნებმა დაიწყეს გამოჩენა, რომ დღეს არა, ხვალ, მაინც უნდა დანთებულიყო მსოფლიო უბედურობის ცეცხლი.

მიუხედავად ყველა ამისა, გერმანეთი არა სჩქარობდა. მან განსაზღვრულ მიზნები დაისახა ეკონომიურს სფეროში: ხმელეთზე ბატონი იყო, მას ეჭირვებოდა მხოლოდ ზღვაზე გასვლა, ზღვის ფანჯრის გახსნა, რათა კოლონიები შეეძინა და ზღვის დედოფალ ინგლისისათვის გამოეტაცნა ბატონობის კვერთხი. ამ მიზნით გერმანეთის ყურადღების ისარი პირველად აღმოსავლეთისკენ და რუსეთის ეკონომიურად დამორჩილებისკენ გადახრა. Draug nach Osten—მათი დევიზი გახდა და როგორც ეს, ისე მეორე—რუსეთის დამორჩილება ეკონომიურად, გერმანეთმა საოცარი ენერგიით მოახერხა, მაგრამ ამასთანავე მუდამ ფრთხილ დარაჯად იდგა, ყველანი მორჩილად ჰგულებოდა, რათა ზრდა და ძალოვნება თუ ვისმეში დაენახა საჩქაროდ „სისხლი გამოეშვა, რომ მეტოქეს ფრთა არ გაეშალა და მასთან ომი არ შესძლებოდა.

მეტოქეთა შორის გერმანეთი ყველაზე მეტად ინგლისს ერიდებოდა. რუსეთის შესახებ ვიცით მისი აზრი. მასთან ომს, თუნდა ბისმარკის მიერ ნაანდერძევ რეცეპტის თანახმად „სისხლის გამოსაშვებლად“, იგი სხვა დროისთვის სდებდა, არ სჩქარობდა. სულ სხვა იყო ინგლისი. იგი უკვე საუკუნეთა სარბიელზე დედოფალია ზღვისა და მის ხელიდან კვერთხის გამოგდება არც ისე ადვილი საქმე იყო. მაგრამ გერმანეთს სწამდა თავისი ძალა, სწამდა, დრო ჩემთვის მუშაობსო, სწამდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ფლოტითაც ძლიერი გახდებოდა. მისდა საქებრად უნდა ითქვას, რომ ამ მიზანს თითქმის აღწევდა გერმანეთი. სამხედრო ფლოტი შედარებით მალე აავო. მანქანებრივი განვითარება, ყოველისლერი იმის შანს იძლეოდა, რომ ფლოტითაც იგი სრულიად უზრუნველყოფილი შეიქმნებოდა. ამას ჰხედავდა ინგლისიც და თავის მხრით იმანაც უმატა ფლოტის გაძლიერებას. მაგრამ გერმანეთის ზრდამ დიდად შეაფიქრიანა იგი და არა ერთხელ მიუცია წინადადება, შეაჩერე, ფლოტს ნუ აძლიერებ, თუ გსურს ევროპის მშვიდობიანობა არ დაირღვესო, მაგრამ გერმანეთი ყურს არ უგდებდა და ფლოტის გაძლიერებას დიდის სიბეჯითით ასრულებდა.

მაგრამ მოხდა ისე, რომ გერმანეთს სულ ერთიანად უნდა ჩაჰშლოდა ზვიადი განზრახულებანი. 1912 წ. ბალკანეთის ომმა სასტიკი მახვილი ჩასცა. ფონ-დერ-გოლც ფაშა, რომელიც ოსმალთა ჯარებს ხელმძღვანელობდა, დამარცხებულ იქმნა სლავიანების მიერ. არსებითად ეს ომი სავარჯიშო, ანუ საცდელი ომი იყო, სადაც უნდა გამორკვეულიყო გერმანეთის იარაღისა და მათი ტაქტიკის სიმტკიცე. დამარცხება ოსმალეთისა თავისთავად ჰგულისხმობდა გერმანეთის დამარცხებას. რა მოხდა? სჩანს, სლავიანთა ისე აბუჩად აგდება, როგორსაც ჰგონებდნენ გერმანელებმა, ყოვლად შეუძლებელი იყო. მაშასადამე, საჭირო იყო წინასწარი გაფრთხილება ადრევე მოეხდინათ. სლავიანობა ახალგაზრდა, მაგრამ საკმაო ძლიერი ელემენტი გაგამოდგა, რომელთანაც თამაში მათთვის საბოლოო სიკვდილსა სთესდა. მაშასადამე, მიზეზი უნდა მოენახათ ომისა, ყოველ-შემთხვევაში, თუ ასეთს მიზეზს ვერ იპოვიდნენ, თვითვე შეჰქმნიდნენ ხელოვნურად. ასეთი საბაბიც გაჩნდა. ავსტრეთის მემკვიდრე ფერდინანდის სიკვდილი. შედეგი ვიცით: ულტიმატუმი და საბოლოო მსოფლიო კატასტროფის კოცონი!

(შემდეგი იქნება)

დ. კასრაძე.

## ქართ. კულტ. მოყვარულთა საზოგადოებაში

შაბათს, იანვრის 16-ს საღამოს $7^1/_2$ საათზე, სამკურნალო საზოგადოების დარბაზში, გ. თ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიმართა საზოგადოების მორიგი საჯარო სხდომა. პირველი ნაწილი კრებისა მმართველი იყო, რომელმაც სარევიზიო კომისიის ერთერთ წევრად ერთხმად აირჩია ბ-ნი **მიხ. გიორგაძე**. მეორე ნაწილი კრებისა—აღმასრულებელი.

**ბ-ნმა იპ. ვართაგავამ** წაიკითხა მოხსენების პირველი ნაწილი **„სოფელი და სოფლელები სოფრ. მგალობლიშვილის მოთხრობებში“**. (დაიბეჭდება). შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობდნენ: მიხ. ბარნაბიშვილი, გ. ქუჩიშვილი, ილ. რუხაძე და თვით მომხსენებელი. მოხსენების შემდეგი ნაწილი წაკითხულ იქნება მომავალ შაბათს, საღამოს 8 საათზე იმავე საზოგადოების დარბაზში (პუშკინის ბიბლიოთეკა). კრება დასრულდა ღამის $10^1/_2$ საათზე.

—

მეორე საჯარო სხდომა გაიმართა კვირას, იანვრის 17-ს, შუადღის 12 საათზე ახალ კლუბის სათეატრო დარბაზში, კრებას თავმჯდომარეობდა **გ. თ. ჟორდანია.**

**გ. ქუჩიშვილმა** წაიკითხა თავისი ახალი პოემა: **„ნაადრევი ვარსკვლავი“**. (დაიბეჭდება), რის შემდეგაც კრება შესწყდა 15 წუთით. განახლებულ კრებაზე გაიხსნა კამათი პოემის თაობაზე. კამათში მონაწილეობას იღებდნენ: ბ-ნი იპ. ვართაგავა, მიხ. წულუკიძე, პეტრე მირიანიშვილი, ილ. რუხაძე, ნ. ჩხიკვაძე, ი. იმედაშვილი, მუშა მაისურაძე და სხვ. კრება დასრულდა ნაშუადღევის 2 საათზე.

## წერილი იმერეთიდან

ამ ჟამად იმერეთის სოფლებში, თითქმის ყველგან ერთგვარი აუტანელი მდგომარეობაა.

ხალხის ისედაც გაჭირვებული და ძნელი ცხოვრება ზამთარში უფრო აუტანელი გახდა: შიმშილობა, ყოველ უმწეო ოჯახიდან მსხვერპლს მოითხოვს. ნელ-ნელა ფეხს იდგამს ქვემო იმერეთისკენ ქურდობა—ძარცვა-გლეჯა, რაიც ხვალ და ზეგ უთუოდ უფრო გაძლიერდება, თუ ეხლავე არ იქმნა მიღებული სათანადო ზომები. ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა ევალება უმეტეს ნაწილად 26 თიბათვის სასოფლო კანონის ხელმძღვანელთ. სოფლის ხალხს კარს მიადგა აგრეთვე სხვა და სხვა ჯურის ავადმყოფობა.

ქვემო იმერეთში, სადაც დამპალი ციებ-ცხელება მუდამ ჰსუფევდა, დღეს ნამდვილ სნეულების ბუდედ გადაიქცა. ან კი რა გასაკვირველია, როდესაც სოფლებში აღარც წამალი იშოვება და არც ექიმები.

ამ თვეში ჯარში იწვევენ 18 წლის ჭაბუკებს, რის შემდეგაც სრულიად ბედის ანაბრად რჩება ისედაც უმწეოდ მიტოვებული ოჯახი.

მიწის ღალა და სხვა მთავრობის გადასახადები დღეს მეტად მძიმე ტვირთად დააწვა სოფლის ხალხს. მცხოვრებთ ყოველგვარი შემოსავლის წყარო მოესპოთ. მოთარეშე უსინდისო ჩარჩვაჭრები არავითარ ხრიკს არ ზოგავენ, ოღონდ ისედაც გაძვალტყავებულ ხალხს მეტი სისხლი გამოსწოვონ. ამას წინად ქვემო იმერეთის ერთ სოფლის ბაზარზე მოხუც დედაკაცისთვის, ჩამოსულ ვაჭარს 1 მანეთის ადგილას 50 კაპეიკიანი ახლად გამოსული ქაღალდის ფული მიუცია; ამაზე კიდევ უარესი მაგალითები მრავალია. გაუმაძღარ ჩარჩ-ვაჭრებისაგან ერთად ერთ თავდასახსნელ გზად სოფლის ხალხს დღეს კოოპერაცია უცვნია. მისი მნიშვნელობა აქეთ საკმაოდ ესმით, მომხმარებელ დუქნებს ყველგან დიდის ხალისით ხსნიან; სადაც არ არსებობს, იქ მის საჩქაროდ დაარსებას ცდილობენ.

ამინდი ქვემო იმერეთში მეტად უვარგისია, ზოგგან ერთ არშინამდე თოვლიც დასდო.

ი. იმერელი.

## პროვინციის ქრონიკა

**ერევანი**

აქ დიდი სიძვირეა. ვაჭრების თავგასულობას არა აქვს საზღვარი. ამ დღეებში მოიტანეს 8 ვაგონი შაქარი და რამდენიმე ვაგონი ნავთი, მაგრამ სულ ვაჭრებმა დაიტაცეს.

**რაჭა**

აქაური მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან, რადგან წელს სიმინდი ნაკლები მოვიდა.

**ფოთი**

ყასბებმა ქალაქის თვითმართველობას სთხოვეს ხორცზე ნიხრი მოუმატონ.

## მუშათა შორის

ბაქოს მუშათა რწმუნებელმა წარუდგინა ნავთის მრეწველებს ვრცელი წინადადება, სადაც აღნიშნულია მუშათა მოთხოვნილებანი.

## სომეხთა ცხოვრება

ბაქ. სომეხთა კაცთმოყვარე საზოგ. ბინაზე გაიმართა საღამო გამოქცეულთა სასარგებლოდ მონაწილეობდნენ საუკეთესო მსახიობნი.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

როგორც გაზეთი „სიოზი“ იტყობინება, მოსკოვში ჰფიქრობენ თათრულ სტამბის და სალიტერატურო ფონდის დაარსებას. ეს წინადადება წამოყენებულ იქმნა 5 იანვარს ბანკეტზე, რომელიც გამართა მაჰმადიანთა ინტელიგენციამ.

**ომი და მაჰმადიანები**

იგდირიდან გვატყობინებენ: მივიღეთ ერევნიდან კიდევ ერთი ვაგონი ფქვილი გამოქცეულთათვისო.

## სხვა და სხვა ამბები

**მიწის ძვრა.**

ძლიერი მიწის ძვრა მოხდა უფსალო და ადისკოში 2,600 კილომეტრის მანძილზე. უკანასკნელი ცნობებით მტკიცდება, რომ მიწისძვრისაგან საშინლად დაზიანდა ბაღდადის რკინის გზა სკუტარის ახლოს (მცირე აზიაში).

**პეტროგრადში.**

სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაამტკიცა გაიხსნას რუსეთში პირველი სკოლა კოოპერაციისა.

— ავადმყოფობის გამო თავს ანებებს თანამდებობას პეტროგრადის ქალაქის თავი გრაფი ი. ი. ტოლსტოი.

**ქრისტიანია.**

ის საშინელი ცეცხლი, რომელიც გაჩნდა მოლდეში ჩააქრეს. ზარალი აღწევს 3 მილიონ კრონამდე.

ამბობენ ვითომ ძალად არის წაკიდებულიო, რადგანაც ცეცხლი ერთ და იმავე დროს დაიწყო სხვა და სხვა ადგილებში. მეფე მოვიდა მოლდეში. სტორტინგი იძლევა წინადადებას საჭირო დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულთ.

**ეკატერინოსლავი.**

სამი თვით დაატუსაღეს მწერალი ჰენრიხ გრეგორიუსი, გერმანელთადმი სიმპატიისათვის.

## რუსეთი

ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში შემდეგი ამბავი მოხდა: საანატომიო თეატრში, სადაც „ბანკებში“ მოთავსებულია გვამი ახლად დაბადებულ ბავშვებისა, ყოფილა მოსამსახურე, რომელსაც ვეღარ მოუთმენია არაყის უქონლობა და ბანკის სპირტი, რომელიც ინახავს გვამს—დაულევია, ნაცვლად კი წყალი ჩაუსხავს რის გამოც გვამი ღპილა.

**ჯარისკაცი—აფიცრები.**

როსტოვში შეიპყრეს გამოქცეული ორი ჯარისკაცი, რომელთაც გადაეცვათ აფიცრის ტანისამოსები.

**თავის მოკვლა.**

სტავროპოლში დაატუსაღეს გიმნაზიელი ბრედიხინი, რომელსაც ჰბრალდებოდა გიმნაზიის დირექტორის ბულიჩევის მოკვლა. ციხეში დატუსაღებულმა ნავთი გადაისხა და ცეცხლი მოიკიდა, მაგრამ დროზე მიეშველნენ, მიუხედავად ამისა ბრედიხინმა იმავე დღეს თავი ჩამოიხრჩო.

**ეკატერინბურგი.**

ნიხრის ასაწევად ყასბებმა დამალეს ხორცი და დაკეტეს მაღაზიები. პოლიციამ 5,000 ფუთი დამალული ხორცი აღმოაჩინა.

**მკვლელობა.**

მოსკოვში გლეხმა გერასიმე გოგინმა მოჰკლა ცულით თვისი მეუღლე 24 წლისა და მისი ძმა 33 წლისა. მძიმედ დასჭრა მეზობელი ქალი. მკვლელი შეპყრობილია, მიზეზი ამდენი მკვლელობისა გამოწვეული ყოფილა ცოლის ღალატით.

**ოდესა.**

განთიადისას იფეთქა ცეცხლმა ხარიტონოვის კინემატოგრაფის კანტორაში. ცეცხლში დაიღუპა ორი კანტორის მოსამსახურე ყმაწვილი.

## თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლთან არსებულ სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ შაბათს, 16 იანვ., წარმოადგინა ო. ერნესტის პიესა „პედაგოგები“.

როგორც, ვიცით, ამ მმართველ წრეს მიზნად დასახული აქვს რეპერტუარში შეიტანოს ისეთი პიესები, რომელთაც აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება. დაე, იგი ნუ იქნება მხატვრული, ეს წრისთვის მეორე ხარისხოვანი საკითხია, იყოს მკვეთრი რამ, საპროპაგანდო, ოღონდ პროპაგანდა—აგიტაცია ეროვნულ ფარგლებში არ იყოს ჩამოყალიბებული.

თავისთავად „პედაგოგები“ მხატვრობის მხრით არასფერს წარმოადგენს. იგი უფრო ნახევარ პუბლიცისტური ნაწარმოებია, ვიდრე მხატვრული, მაგრამ სჩანს, ეს ფრიად აკმაყოფილებს ხსენებულ წრეს და თვით დამსწრე საზოგადოებას, რადგანაც იგი მარტო ამ სეზონში, გასული რომ არ ვიანგარიშო, არა პირველად იდგმება და ხალხიც იმდენი ესწრება, რომ ბილეთების შოვნა აღარ არის.

წარმოდგენის მხრით მმართველ წრეს არა დაეყვედრება რა. შედარებით სჩანს მუყაითობა. უპირველესი ის, რაც დიდი პლიუსია, გახლავთ ანსამბლი და როლის ცოდნა. მეორე, წრეს ჰყავს ზოგი თვალსაჩინო ძალაც, რომელთაც დღემდინაც უნდა ადგილი ჰქონოდათ ასე ვსთქვათ ჩვენს ნაკურთხ ნაფიც მსახიობთა შორის. მე მოგახსენებთ ბ-ნ გოცირიძეზე, მეტრეველზე და რომანიშვილზე. მათი თავისუფალი თამაში უთუოდ ჰგულისხმობს სასცენო ძალის ღირებულებას, განსაკუთრებით გოცირიძე. მისი გენრიხ ფლაქსმანი უნაკლულო იყო. ეს ტარტიუფის პროტოტიპი ბ-ნმა გოცირიძემ უნაკლოდ შეასრულა.

კარგი ვეიდენბაუმი იყო ბ-ნი ანაშვილი.

მერაბიშვილის უზომო ხელის ფათური და შლა ცუდს შთაბეჭდილებას სტოვებდა, თორემ კარგი რიგნი იქნებოდა.

რომანიშვილის საყურადღებოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მესხიშვილის იმიტაცია ისიც ჩახლეჩილი ხმით არავითარ პროგრესის გზაზე ვერ დააყენებს. სჯობს, თუ მიბაძვა იქნება თამაშში მიჰბაძოს ხოლმე...

საზოგადოდ პიესამ მწყობრად ჩაიარა. დიდი ნაკლულევანება ისევ სცენის სიღარიბეს ემჩნეოდა. მასწავლებელთა პერსონალი ჩაცმულობა და სამასწავლებლოს მოწყობილება ფრიად ლატაკი იყო, ჩვენებური, პროვინციალი ელფერისა, რაიც განათლებულ ქვეყნის ილლიუზიას ოდნავაც არ შეეფერებოდა.

დიოგენი.

## შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო!

ტრაღიკულად გარდაცვალებულის ჩემი დეიდაშვილის თამარ კონსტანტინეს ასულ თეთრაძის კუბოს გვირგვინით შემკობის ნაცვლად გაახლებთ 20 მან. გთხოვთ 10 მან. გადასცეთ ვაჟას სახელობის ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ფონდისთვის და 10 მან. ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოსთვის.

ექიმი დიმ. ჯავახიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

([illegible] ტფილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 | საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 | საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 | საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 | საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ 42 „ | „ |
| იორიდან | 11 „ 35 „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ 17 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 15 | დღის |
| მელაანიდან | 2 „ 37 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ 58 „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ 35 „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 18 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | |
|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ 45 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ 46 „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ 02 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ 15 „ | „ |
| იორიდან | 2 „ 53 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. 16 წ. | დილ. |
| კარდენახიდან | 9 „ 46 „ | „ |
| გურჯაანში მიდის | 10 „ 16 „ | „ |

**სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.**

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Карванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управлевіи Россійскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილთ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.